



ილორი



№ 40 (108) 10 ნოემბერი 2009 სანჯალსო მთქრატბა "სამეგრელოს" ორგანო 50 თქტრო

ანჟორ დანელია: ასლა 2

ხელისუფლებას

შემოიჭიროს ქაბარი!



10

ზურაბ გაბნიძე: ვისი ხელისუფალი ხართ ბატონო მიხეილ?!

3

8

რას ერჩოდა
82 წლის
პენსიონერი
იელოვას
მოწმეებს?



9

ლავრენტი 4 ბერია — ქართული გენია



გაზეთი "ილორი" უღვება რუბრიკას "სოფლიოს ლეგენდარული მახზეო"



დამსახურებული ჯიღლო ბასბისათვის 12



5

"კოლხები — ქართველების წინაპრები"

ანზორ შონია

ქართულმა ეთნოსმა კულტურულ- ისტორიული რამობა დაკარგა 8

უმნიფარი მეართველის სიბრიყვე ერის გასაჭირია... 6



ანზორ დანელია: ახლა ხელისუფლებაზე შემოიჭიროს ქაბარი!

პენსიონერ ანზორ დანელიას ორი ვაჟი შეიღობა აფხაზეთში – მამუკა და ირაკლი. უფროსს ცოლ-შვილი არ ჰყავდა, უმცროსს კი მეუღლე და ტყუპი ქალ-ვაჟი ღარდა. მას შემდეგ, რაც მარჩენა დაკარგულა, შეღვათები მოუსხსნეს, ძლივს გააქვით თავი. სხვა შვილები კი მშობლებთან ერთად ბატონი ანზორის ჩვილს, პენსიის მომეტებასა და შეღვათების აღდგენას ითხოვეს, მაგრამ ჩვენი ხელისუფლებისთვის „სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირია“.

– შევარდნაზე არ ვარგოდლო, ვამბობდით, მაგრამ მისი პრეზიდენტობის დროს კუთვნილი პენსიისაც ვიღებდი და მარჩენა დაკარგულისასაც. უამრავი შეღვათი გვქონდა – ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის, წყლის, დასუფთავების, ტელეფონის, საქალაქო ტრანსპორტის მხრივ. დაღუპულის ოჯახის ყველა წევრს ზამთრის პერიოდში – 5 თვის განმავლობაში – ეძლეოდა 250 კილოვატი უფასო ელექტროენერჯია და 150 კილოვატი ზაფხულის პერიოდში – 7 თვის განმავლობაში. იმდენი გროვებოდა მთელი წლის განმავლობაში, რომ ვერ ვხარჯავდით, ასევე იყო ბუნებრივი აირზეც. გარდა ამისა, პედაგოგებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს 870 კუბურ მეტრზე ბუნებრივი აირის ვაჟურები დაუბრუნეს. მაშინ ბიუჯეტი გაცილებით მწირი იყო, თუ შევარდნადის მთავრობა ახერხებდა ამ გაუბედურებული ადამიანების თანადგომას, ახლა რა ემართებათ? სააკაშვილი რომ

გამოდის და ტრახახობს, აშენდა საქართველო, ბევრ მოწინავე ქვეყანას გაეცაწარითო, ხალხის მდგომარეობას რატომ არ ეტყობა? როგორც ჩანს, მიწა და მისი დამქაშები სიზმარში ნახულობენ საქართველოს აღმავლობას.

– როგორ ახერხებთ უმამოდ დარჩენილ ტყუპების შენახვას?

– ძალიან გვიჭირს... თქვენ წარმოიდგინეთ, მარჩენა დაკარგულთა შვილების პენსიის გრადაციაც კი მოახდინეს, ნაწილს დაუტოვეს, ნაწილს – გაუუქმეს.

– თქვენს შვილიშვილებსაც?

– დიას... მოვიდა თუ არა მიწა ხელისუფლებაში, შეღვათებიც გაგვიქმნა და პენსიებიც შეგვიმცირა. მარჩენა დაკარგულმა დედებმა მითხრეს, თვეში 20 ლარს გვაძლევდნენ იმათ, ვის შვილსაც ჯილდო ქონდა მიღებული და ახლა ისიც წავართვეს.

– ამჟამად არანაირი შეღვათით არ სარგებლობთ?

– მხოლოდ საქალაქო ტრანსპორტით ვსარგებლობთ უფასოდ... 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, მემორიალთან შეგხვედ პარლამენტის ვიცე-სპიკერს – ბატონ ლევან ვეფხვაძეს, რომელმაც პარლამენტში მიმიწვია.

– შეხვედით?

– დიას! ქალბატონ მაგდა ანიკაშვილსაც (პარლამენტის სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანდაცვის კომიტეტის

თავმჯდომარის მოადგილე) ვესაუბრე გაუქმებულ შეღვათებსა და პენსიაზე.

– რით განუგებებს ბატონმა ლევანმა და ქალბატონმა მაგდამ?

– ჩემთან საუბრისას გამოთქვეს აზრი, რომ ყველაზე უფრო რეალური იქნება ორმაგი პენსიის აღდგენა. რაც შეეხება შეღვათებს, ყველაფერი უკვე კერძოა და აღდგენად, ეს არ მოხერხდება. თვითონ რომ წარამარა იზრდიან ხელფასებსაც და პენსიებსაც, ჩვენ რა დავაშავეთ, ამ ქვეყნის შვილები არ ვართ?

– როდის მოხდება თუნდაც ორმაგი პენსიის აღდგენა?

– ასე მითხრეს, წელს გავიტანთ საკითხს პარლამენტში განსახილველად, რათა მომავალი წლის ბიუჯეტში გაეთვალისწინოთ. ერთი სიტყვით, შეღვათების აღდგენაზე უკვე აღარაფერს საუბრობს. ჩემი გასაჭირი გიგი წერეთელსაც შეეხვედა და განცხადებით დავით ბაქრაძესაც მივმართე, მაგრამ პასუხიც არ მალირსეს.

მარჩენა დაკარგულთათვის შეღვათების აღდგენაზე მე პირადად ბევრი მიფიქრია. თანხა, რომელიც მარჩენა დაკარგულთა შეღვათების აღდგენას სჭირდება, ჩემი ანგარიშით, 7-მილიარდიანი ყოველწლიური ბიუჯეტის 0.0043 პროცენტს შეადგენს. რა გახდა 30 მილიონი ამხელა ქვეყნისთვის?! სააკაშვილმა ხომ აიშენა მილიარდიანი სასახლე... ახლა ხელისუფლებამაც შემოიჭიროს ქაბარი, მე უკვე სამჯერ შემოვიჭიროე, ტანსაცმელიანად 47 კილოს ვიწინი... განა

არ შეიძლება, რომ მერიებმა და ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა გამოკონ თანხები მარჩენა დაკარგულთათვის შეღვათების აღსადგენად? ამით მაინც მიაღონ პატივი სამშობლოსთვის დაღუპულ პატიოტა ხსოვნას. პაატა დავითიას და ლევან განჩინიძის ვთხოვე, 27 სექტემბერს მემორიალთან დაღუპულთა მშობლებს ერთი-ორი ტკიბილი სიტყვა მაინც გვითხარით, გაგვამხნევეთ-მეთქი, მაგრამ არ ქნეს...

– რას აპირებთ თქვენი უფლებების დასაცავად?

– ბოლომდე ვიბრძობდით. ხელისუფლების არაფერი გვიბრძობს, აქეთ არიან ჩვენთან ვალში. მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ აღდგინონ ყველა გაუქმებული შეღვათი (ბუნებრივი აირზე, ელექტროენერჯიაზე, წყალზე, დასუფთავებასა და ტელეფონზე), სრულად მოგვცენ გაზრდილი პენსიები და აგვინახდნენ განაცდური. ჩვენს მოთმინებასაც აქვს საზღვარი! დროა, ხალხისთვის წაღეტილი ისევე ხალხს დაუბრუნდეს. თბილად რომ სხედხართ კაბინეტებში და უზრუნველად ცხოვრობთ ნაქურდალი ფულებით, ნუთუ სინდისს ქნჯნა არ გაწუხებთ? თქვენი შვილები საზღვარგარეთ პრესტიჟულ სასწავლებლებში გაგზავნეთ, ჩვენი ბავშვები კი სანახევროდ მშვიდობა დადიან, ფული არ აქვთ სახელმძღვანელოების შესაძენად, განა ეს სამართალია?

ამირან ნორაკიძე

მარჩენა დაკარგულ მოხუცებს საქართველოს ხელისუფლებაზე შემოიჭიროს ქაბარი

ვეროსაბჭომაც გაიგოს, რომ საქართველოს ხელისუფლება მარტოხელა მოხუცების გენციდის გეგმავს

პენსიონერ ამირან ნორაკიძის ვაჟი შეიღობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას შეეწირა და მარტოხელა მოხუცი მარჩენა დაკარგულ უმწვეოთა შორის აღმოჩნდა. მასავით გაუბედურებულ, შეიღობებამ მშობლებს კი ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ თითქმის ყველა შეღვათით გაუუქმა და საარსებო მინიმუმი წაართვა, უმწვეო მოხუცები სასიკვდილოდ გაწირა.

– ჩვენ, მარჩენა დაკარგული მარტოხელა პენსიონერები შეურაცხყოფილი, დამცირებული, უფლება შეღახული და მორალურად განადგურებული ვართ. სირცხვილი ქვეყნის პრეზიდენტსა და ხელისუფლებასა, უმწვეო მოხუცებს გენციდი რომ მოგვიწყვეს. 2001 წლის 1 იანვრიდან შრომით მოპოვებულ პენსიასა და მასზე დანამატს აღარ გვაძლევენ, სამაგიეროდ, პარლამენტარებმა 200 პროცენტით გაიზარდეს ხელფასები.

– რატომ მოგისხნეს პენსია და დანამატი?

– როგორც გაირკვა, მარჩენალის

დაკარგვის გამო სახელმწიფო კომპენსაცია დაგვენიშნა და არა – პენსია. გაოცებული ვარ პირდაპირ, რატომ ჩათვალეს ორ პენსიად კომპენსაცია და პენსია?! მართალია, კანონი ზღუდავს ერთდროულად ორი საფუძვლით პენსიის მიღების შესაძლებლობას, მაგრამ ჩვენ ხომ სახელმწიფო კომპენსაციას და ერთ პენსიას ვიღებდით?! რა უფლებით წავგართვეს შრომით მოპოვებული პენსია და სტაჟზე დანამატი?

– არ გასაჩივრებთ?

– სად აღარ ვვიძიებ სამართალი, მაგრამ ჩინონიკების უმრავლესობა განცხადებაზე პასუხის ღირსადაც არ გეთვლის, ჩვენზე გული არაფერს შესტკივა, შეიღობებამ მარტოხელა მოხუცები სასიკვდილოდ გაგვწირა საქართველოს ხელისუფლებამ.

– პრეზიდენტს თუ მიაწვდინეთ ხმა?

– სააკაშვილსაც მივწერეთ და დავით ბაქრაძესაც, მან განცხადება გიგი თარგამაძეს დააწერა, მაგრამ პარლამენტის უშიშროების კომიტეტში მითხრეს: ეს საკითხი ჩვენ არ გვეხება და პასუხს ვერ გავცემთ... პარლამენტის კანცელარიაშიც დაურეკე და პირდაპირ მითხრეს, პასუხს არ გავცემთ. 27 სექტემბერს, სოხუმის

დაცემის დღეს, მემორიალთან შეხვედი ბატონ გიორგი გვაზავს – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს და ვესაუბრე მთხოვა, განცხადება დაწერე და პარლამენტს შეამდგომლობოთ მივმართო.

– რას აპირებთ, თუ გიორგი გვაზავს შეამდგომლობამაც არ გაჭრა?

– ჩივილს გავაგრძელებთ! შეგახსენებთ, რომ საქართველომ აღიარა ევროპის სოციალური ქარტიის მეთორმეტე მუხლის პირველი და მესამე პუნქტები, რითაც იკისრა ვალდებულება, სოციალური უზრუნველყოფის ეფექტურად განხორციელების მიზნით, შექმნას და, რაც მთავარია, შეინარჩუნოს სოციალური უზრუნველყოფის სისტემა და გააუმჯობესოს ამ სფეროში არსებული სტანდარტები; ასე რომ, ჩვენი სახელმწიფო ვალდებულია, ეკონომიკური განვითარების დონის მიუხედავად, ყველა ადამიანი უზრუნველყოს მინიმალური საარსებო უფლებების დაცვით, რაც ჩვენ არ გავაჩნია. მარჩენა დაკარგულებმა გადაეწვიეთ, წერილი გავუგზავნეთ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, ბატონ ტერი დევისს და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარს,

ბატონ ტომას ჰამარბერგს. ვეროსაბჭომაც გაიგოს, რომ საქართველოს ხელისუფლება მარტოხელა მოხუცებს გენციდს გეგმავს.

– თუ არ ვცდები, თქვენ მიერ წლობით ნაგროვები პენსია წინა ხელისუფლებამ შეიტყაუნა, შევარდნადის თავგაცობით...

– საბჭოთა პერიოდში პენსიონერებს მუშაობის უფლებაც გვქონდა. ასე რომ, ხელფასით ვცხოვრობდი, პენსიას კი წლების განმავლობაში შემსახველ ბანკში ვრიცხავდი, ფულს შავი დღისთვის ვაგროვებდით. შევარდნადის ხელისუფლებამ გაგვძარცვა პენსიონერები და ჩვენი დანაზოგი თაღლითურად მიითვისა.

– იპოვეთ სამართალი?

– 8 წლის განმავლობაში ვიბრძობდით, მაგრამ ჩვენს სასამართლოში სამართალი ვის უპოვია?! ავდექით და სტრასბურგში ვინივლეთ. ჩვენი საქმე 17740/09 ევროსასამართლომ უკვე მიიღო წარმოებაში. სარჩელს 78 დაზარალებული პენსიონერი ვაწერთ ხელს. ვიმედოვნებთ, რომ სამართალს იქ მაინც ვიპოვით.

ნინო გომიაშვილი

ფანჩულიძეები რუსეთის ისტორიაში

ფანჩულიძეთა გვარმა ისტორიას არა ერთი ცნობილი და ღირსეული სამხედრო თუ საზოგადო მოღვაწე შესძინა. მათ დამკვიდრებას რუსეთის იმპერიაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სათავე დავით ფანჩულიძემ დაუდო, როცა ის 1738 წელს იქ დასახლდა. მის პირველ ვაჟზე – სარატოვის ცნობილ გუბერნატორ ალექსი ფანჩულიძეზე უკვე ვისაუბრეთ. რაც შეეხება მის კიდევ ორ ვაჟს – ივანესა და სიმონს, რუსეთის არმიის გენერლებს – ფანჩულიძე I-ს და ფანჩულიძე II-ს, მათ უდავოდ დიდი წვლილი შეიტანეს რუსეთის იმპერიის ძლიერებაში.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, გენერალ-ლეიტენანტმა ივანე ფანჩულიძემ (1753-1815) მეფის არმიაში 41 წელი იმსახურა. მეთაურობდა ტვერისა და ჩერნიგოვის დრაგუნთა პოლკებს; მონაწილეობდა სპარსეთის ლაშქრობაში, ნაპოლეონის წინააღმდეგ ომში; ბოროდინოს ბრძოლაში ოთხ პოლკს მეთაურობდა. მისი მამაცობა, სამხედრო შენაერთების უნარიანი მეთაურობა არა ერთხელ

აღნიშნულა რუსეთის იმპერიისა და უცხოეთის სახელმწიფოების ჯილდოებით. მათ შორის აღსანიშნავია წმ. ვლადიმირის, წმ. ანას პირველი ხარისხის (აღმასებული) ორდენები, ასევე, აღმასებიანი ოქროს ხმალი „ამაცობისათვის“.

გენერალ-მაიორ სიმონ ფანჩულიძეს (1764-1818) 30-წლიანმა სამხედრო სამსახურმა, სუვოროვის, კუტუზოვისა და ბაგრატიონის მეთაურობით ჩატარებულ ბრძოლებში მიღებულმა წრთობამ მდიდარი გამოცდილება შესძინა და შესანიშნავი თვისებების მქონე გენერალად ჩამოაყალიბა. საქმისადმი მის ერთგულებას, თავგამოდებასა და გულმოდგინებას ერთსულლოვნად აღნიშნავდნენ თანამედროვენი. გარდა ამისა, მას სამჯერ ღირსება „უმადლესი ყურადღება“.

აღსანიშნავია ისიც, რომ სარდლობა მძებ ფანჩულიძეებს, როგორც მამაც, გამოცდილ და ინიციატივით გენერლებს, ყოველთვის ყველაზე რთულ და პასუხსაგებ დავალებებს აკისრებდა. ხანგრძლივმა სამსახურმა და სისხლისმ-

დევრულ ბრძოლებში მიღებულმა ჭრილობებმა სიმონ ფანჩულიძის ჯანმრთელობა შეარყია. 1814 წელს მას უკვე აღარ შეეძლო მოქმედ არმიაში სამსახური და 1814 წლის 19 დეკემბერს იმპერატორ ალექსანდრე პირველს სამსახურიდან გაათავისუფლების თაობაზე თხოვნით მიმართა.

„თუმცა უდიდესი სურვილი მაქვს ვიყო თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის სამსახურში და ვაპირებდი კიდევ მის გაგრძელებას, მაგრამ თვალის ქრონიკული ანთებით გამოწვეული მხედველობის დაქვეითება და მარჯვენა ხელის მოტეხილობის გამო მისი მუდმივი ტკივილი არ მაძლევს ამის საშუალებას. გვადნიერდები და უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი უმაღლესი საიმპერატორო ბრძანებულებით დააკმაყოფილოთ ჩემი თხოვნა, გაითვალისწინოთ ჩემი ხანგრძლივი სამსახური და გამათავისუფლოთ საველე და საგარნიზონო სამსახურიდან ჩინის მომატებითა და დამსახურებული პენსიის დანიშნით“.

სიმონ ფანჩულიძის ამ განცხადებაზე იმპერატორმა ასეთი მინაწერი გააკეთა: „გენერალ-ლეიტენანტის წოდებას მე მხოლოდ სამსახურში მყოფთ ვაძლევ და არა მათ, ვინც მას თავს ანებებს“. გენერალი ფანჩულიძე II გაათავისუფლეს ავადმყოფობის გამო მუდმივად შენარჩუნებით და 30 წელზე ხანგრძლივი სამსახურისათვის ნახევარი ჯანაგიერის ოდენობის პენსია დაუნიშნეს.

ასე დააფასა იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა იმ ადამიანის დამსახურება, რომელიც მას ერთგულად ემსახურა და ბევრი გააკეთა რუსეთის არმიის საღიდავად.

სამხედრო სამსახურიდან წასვლის შემდეგ, ალექსანდრე პირველისა და ნიკოლოზ პირველის მეფობის დროს სიმონ ფანჩულიძე სიმბრისკის გუბერნატორად დაინიშნა, მაგრამ სულ რაღაც სამ წელიწადში 1818 წელს გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია მოსკოვში სპასან-დრევესკის მონასტერში.

ფსიქოპორტრეტი

ზურაბ გაბნიძე: შიში ხელისუფალი ხართ ბაზონო მიხეილ?!

საქართველოს პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი, უკვე 15 წელია, ქართული პოლიტიკის პოპულარულ სახედ იქცა, რომლის ფსიქოპორტრეტის შესახებ გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაბნიძე.

ხალხის უკმაყოფილების ზრდამ ახლგაბურღა დააყენა პოლიტიკოსი ლიდერის როლის საკითხიც. საზოგადოებამ უფრო ფხიზლად დაუგდო ყური ლიდერობის პრეტენდენტებს, მეტად კრიტიკულად შეათვალიერა და ანალიტიკურად განსაჯა, რამაც აშკარად ცხადყო, რომ საქართველოში კულტების შექმნის დრო დამთავრდა. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მერყევი კონტურები უკვე შეიმჩნევა, მაინც რთულია წინამძღოლის შერჩევა.

ბატონო ზურაბ, რას გვეტყვით მიხეილ მაჭავარიანის ფსიქოსტრუქტურაზე, მისი სულიერი რაობის, მრწამსის, მისწრაფებებისა და შეხედულებების გასაცნობად...

სახელმწიფოს იერარქიულ სისტემაში საეკსპერტო გამოცდის უნდა იყოს მონაწილე ქვემო დონე და ვინმეს მიმართ შუასაუკუნეობრივი ბრმა თავანისცმა, სხვათა ინტერესებით თავსმოხვეული პოლიტიკა. ლიდერი თავისი პიროვნული თვისებებით ხალხისთვის მაგალითი უნდა იყოს. დღეს კი დამოუკიდებლობის მოსურნე ქვეყნის საბირჟეო მძღველი ხარგვის ნაცვლად უვარგისი ფხენილი ჩაგვარეთ, რის გამოც წელში ვერა და ვერ გავიძარეთ. ამ ფხენილის ერთი კრიტიკალი კი მიშა მაჭავარიანია. ის ჯერ კიდევ 1995 წლიდან საქართველოს „მოქალაქეთა კავშირის“ გენერალური მდივანია, ხოლო სულ მალე – ამავე კავშირის თავმჯდომარე. ამ „მოქალაქეთა კავშირში“ დაფორტიანებულმა ახალგაზრდა პოლიტიკოსმა თაობამ საქართველოს წინსვლა ნახევარი საუკუნით შეაფერხა, ქვეყნის მშენებლობაში ხალხის როლი სრულად უგულებელყო.

რითი თვისებების პრობლემები მათი საზრუნავი არასოდეს გამხდარა. ყოველივე ამას კი სათავეში ედგა თვით მიხეილ მაჭავარიანი სულიერი სიმდაბლითა და გონებრივი სიბეცით. როგორც პოლიტიკოსი, მაჭავარიანი ცდომილია! ამით გააუქმეს პასპორტებში ეროვნულობის აღმნიშვნელი გრაფა.

ის იყო აგრარული უნივერსიტეტის ნიდაგამცოდნეობის კათედრის ლაბორანტი. აღსვენებას კი აწ განსვენებულ ზურაბ ჟვანიას უნდა უმადლოდეს. მიშა 1995-99 წლების მოწვევის პარლამენტის წევრი გახდა. მისი კარიერული აღმასვლა მეგობრობითაა ნასაზრდოები. თავად როგორი მეგობარია? ზურაბ ჟვანიას საეჭვო ვითარებაში გარდაცვალებისას მან პირში წყალი ჩაიგუბა და სულგამოფრთხილ, გაუტანელი მეგობრისა და „მოდლატე მისს“ ევოცენტრიზმით სამუდამოდ დადუმდა. მეგობრობა იქ იდგამს ფესვს, სადაც მიხეილ და მისწრაფებანი ერთნაირია. ასე იყო მიშასა და ზურას შემთხვევაში, მაგრამ ეს მეგობრობა იქ დამთავრდა, სადაც ზურას მოულოდნელი და ბურჟუაზიული მოცული გარდაცვალება მიშას მიხანსწრაფვის ხელისშემწეულ ბარიერად იქცა. ყოველივე ამით მოხდა მიშას სულიერწაღამებული ფსიქოლოგიის საჯარო ილუსტრირება. ეს არის პიროვნული სიმწიფის მიუღწეველი

კაცი, რომელიც ვერასოდეს აღუდგება წინ უსამართლობას (გამგებლობა არ ყოფილა), ბოროტებას, ვერაგობასა და სიმუხთეს, კაცობოძულებას. იგი ადვილად მოსახრელი წველია, იმდენად მორჩილი, რომ ძლიერთა ხელში ნებისმიერ ფორმას მიიღებს, მონაბერ ქართა ამჟღავნებელი, მადლის დამიწვეველი, სიკეთისა და სიკარგის წამყრუველი და საკუთარი „მეს“ გადასარჩენად ყველა აკრძალულ ხერხე წამსვლელი. მან კარიერისთვის ზურაბ ჟვანიას ძმობა ისე გაყიდა, როგორც ძმებმა – ბიბლიური იოსებმა. ნებელობადაკარგულმა და სულგაყიდულმა კაცმა ვერ აწია მეგობრობის ტვირთი და ვალდებულა. უბედურება ისაა, რომ ეს არ არის ვითარებით გამოწვეული ფსიქოსტრუქტურა, მასში დაბუდებული სიმუხთეა. საკუთარი სიმწიფისთვის მან გვერდში მდგომი არაერთი კაცი გაწირა. კობა ბეკუაშვილი, რომელიც მის აღზრდას ხმალიმდებელი იცავდა, არ გამოეხარნლა. ესაა მიხეილ მაჭავარიანის ზენ-ხასიათი და მორალური სახე. ამოდ დავიკვირებ მის ფსიქიკაში „ცენტრალური მარცვლის“ ძებნას. იგი უდიდისაა, რადგან ერთგულადაა ფსიქოლოგიაში განკაცების უპირველესი ნიშნულია.

რა კრიტერიუმებით დანიშნა ნიდაგამცოდნე ახალგაზრდა, გამოუცდელი მიშა მაჭავარიანი საგადასახადო შემოსავლების მინისტრად?

ამ დარგში მიშას ცოდნა და გამოცდილება დღესაც და მაშინაც ნულის ტოლია. მას ამ ნაბიჯისკენ სულში ჩაბუდებული ანგარება, პათოლოგიურმა მომხვეჭელობამ და უკიდურესი ამბიციამ უბიძგა. ობიექტისთვის ეს მიშას დიდი კარიერული ნახტომია, ფსიქოლოგისთვის კი ნათელია – ეს პიროვნება არასრულყოფილია, ავადმყოფური ვნებებით და დიდად ნაკლვანი ღირსების გრძობით. ამით ქვეყნის მტრობს, რადგან იმის აწევას ცდილობს, რის შესაძლებლობაც არ გააჩნია. სამაგიეროდ, სინდისთან კომპრომისი აქვს. ესაა მისი სულიერი და გონებრივი უნარების დეფორმირებული გამოვლენა, სიხარბესდამორჩილებული სწრაფვა – იქცეს გავლენიან ფიგურად. ეს გაჩნდა, სინდისიერ და ღირსეულ კაცს ნამდვილად გაუჭირდება, მიშას კი არ გასჭირვებია, რადგან მის ფსიქოსტრუქტურაში მატერიული, ყოფითი მართავს მის სულიერ, გონებრივ და ზნეობრივ უნარებს. ფსიქოლოგია კი გვეუბნება: სულმა შექმნა თვალი, რათა ვიხილოთ სინათლე; ყურნი, რათა შევისმინოთ; გონება, რათა აზროვნება უსწრებდეს მოქმედებას. გონებრივი უნარების სიმდიერითა და სულიერების სიმტკიცით ითრგუნება პიროვნებაში მიწიერი ზრახვანი.

უნდა შევეხო მის ბიოგრაფიაში შემტანილ ცნობასაც, რომ ბატონ მიხეილს 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული. ადამიანი ის არსებაა, რომელიც განუწყვეტლივ მისწრაფვის სრულყოფისკენ, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს სწრაფვა გამოიცხვლია. დაუმსახურებელმა წარმატებამ მიხეილ გაუმადარი გახადა, მისი უნარები დასუსტდა სიყალბესა და ბოროტებასთან თანყოფით. კაცი, რომელიც 1995 წლიდან დღემდე მაღალ პოლიტიკურ პოსტებზეა, წლების მანძილზე უმადლეს საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს და ნიდაგა კანონშემო-

ქმედებით ქარცეცხლშია, როგორ მოძებნა დრო და შესაძლებლობა, 20-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი გამხდარიყო? მიშასთვის სიცრუე არსებობის წესად იქცა, ისე შეეწვია სიცრუით გაჯერებულ ატმოსფეროს, რომ სიმართლით გაუდენილ გარემოცვაში შეიძლება ასევე დაემართოს. ამ სიყალბეზე დამუხობილმა ნაშრომებმა, როცა დიდი პოლიტიკიდან წავა, მისი მომავალი სიმწიფით უნდა უზრუნველყოს მეცნიერთა გარემოში დამკვიდრებით, რაც გაიძვერული და ბრყვეული სითავხედით მომზადებული სამომავლო ნაბიჯია. მიშა საშუა ავანტიურისტია, რომელიც პოლიტიკურ პინაზე ყველა სისაძაგლეს დებს წონადობის შესანარჩუნებლად.

მრავალათასიანი მიტინგების მსვლელობისას სამი თვის განმავლობაში პარლამენტის სხდომები არ ტარდებოდა. ხალხის რჩეული ხალხს ემადლებოდნენ. ფსიქოანალიზით კი, იმდება ის, ვინც დამნაშავეა. მიხეილ მაჭავარიანი ამ ფაქტს ასე ხსნის: „პარლამენტის სხდომები გამოიწვევდა დაპირისპირებას“. თუ პარლამენტი ამომრჩეველთა ნების გამტარებელია, რატომ დაპირისპირება? პარლამენტის წევრთა და მისი ხელმძღვანელობის სულმოკლეობაზე მეტყველებს უკვე გაღმა გასულების მიერ რისხითა და ერთსულოვნად კაბალური კანონის მიღება შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ.

მიხეილ მაჭავარიანის ფსიქოსტრუქტურის მთავარი, ცენტრალური შტრიხი ქვეცნობიერი აზროვნებაა. ერთ-ერთ ინტერვიუში იგი აცხადებს: „უფრო სერიოზული ცვლილებები გვინდა, ვიდრე ეს კონკრეტული გვარი და სახელებია. დღეს ერთი ბარტყი გადმომიგდო – სწორი არაა“. ამ სიტყვებს ქვეცნობიერი კარნახობდა, ე.ი. თვით სისტემა შესაცვლელი, თუმცა თავად ამას გონიერულად ვერც აცნობიერებს. მოვიანებით, როცა საკითხი ეგება სოჭში ებრალების განცხადებას პრეზიდენტობაზე კენჭის ყრის შესახებ, უფრო კონკრეტულად: „ებრალები იქნებიან, გიორგაძეები თუ სხვა გვარის შვილები, ასეთი რამ ყოველთვის მოსალოდნელია, სანამ იმის განცდა არ გვექნება, რომ ჩვენნი საქმიანები აქ, საქართველოში წყდება და არა რომელიმე სხვა ქვეყანაში“. ამას ბანალური ფორმულირებით „ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალი“ ჰქვია. ბატონო სპიკერო, უსინდისოდ ცრუობთ. შეგახსენებთ ამერიკის კანონების გაფრთხილებას, პასპორტებში ეროვნული გრაფის წაშლას, სტრატეგიული ობიექტების გასხვისება-გაყიდვას, უცხოეთიდან შემოტანილი, გადმოთარგმნილი კანონპროექტებით რეფორმების ჩატარებას, ინგლისური ენის ლამის დედაუნად ქცევას... და ბოლოს, სოროსის ფულებით დაფინანსებული „გარდების რევოლუცია“ ვინ მოაწყო?!

მიხეილ მაჭავარიანი გამუდმებით ირწმუნება, რომ საქართველოში კორუფციის დონე ყველაზე დაბალია, ნუთუ ხელისუფლებაში ხანგრძლივი ყოფნის შემდეგ ამის გულწრფელად სჯერა?

რა თქმა უნდა, სურვილი აქვს, დაიჯეროს, რადგან სიცრუე უკვე ტეობას ანიჭებს. სინამდვილეში ყველა სფეროში მონოპოლიური მდგომარეობა ხელისუფლების რჩეულ კომპანიებს უჭირავს. ექსპერტები ღიად და საჯაროდ ლაპარაკობენ ფარმა-

ცევრული ბაზრის შესახებ. ერთ დროს ასევე ბევრს საუბრობდნენ თვით მიხეილ მაჭავარიანისა და მისი ოჯახის კარციტი-მადნეულის ბიზნესინტერესებზეც. ამიტომაც აცხადებს, რომ ანტიმონოპოლიური და მაკონტროლებელი ორგანიზაციების შექმნის იდეა ჯერ ადრეა.

ექსპერტების ვარაუდით, შესაძლებელია, პრეზიდენტმა საკუთარი ტყავის გადასარჩენად ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დანიშნოს, მაგრამ ფაქტია, რომელიც მოქმედ კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ პარლამენტი სანახევროდ ქუთაისში გადადის, ოღონდ – 2012-13 წლიდან, რაზეც პარლამენტმა გადაწყვეტილება უკვე მიიღო.

პარლამენტის თავკაცთა აზრით, დასავლეთ საქართველო ამით გააქტიურდება, ხალხი დასაქმდება, ტურიზმი განვითარდება და, რაც მთავარია, ქუთაისელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება, თანაც, ეს ნაბიჯი 500 მილიონზე ნაკლები დაჯდება. ეს მაშინ, როცა ქუთაისის ელემენტარული სასმელი წყლის პრობლემა აქვს.

ერთი კია, მსოფლიოში პარლამენტის გაყოფის პრეცედენტი პირველად საქართველოში ხდება. მიშა მაჭავარიანი და მის კოლეგებს გამგებლობა არ ჰყოფნით, ამ დემაგოგიურ, ყოველად გაუმართლებელ, დაუსაბუთებელ, პირველი კაცის პირადი კაპრიზებით მოტივირებულ გადაწყვეტილებას წინ აღუდგნენ. მიხეილმა კარგად იცის, რომ პრეზიდენტის იდეაფიქსის უარყოფა ძვირად დაუჯდება. მისი ნებელობა პირადი გამორჩენის ძლიერი ვნებით ანულირებულია, თორემ სხვა შემთხვევაში აქვს საწინააღმდეგო აზრი: „მე, პირადად, არ ვარ მომხრე მერის პირდაპირ არჩევნების არა იმიტომ, რომ გვეშინია, არამედ იმიტომ, რომ მოდელი გაუმართავია“. კვლავ არაცნობიერი აზროვნება – დიახ, ეშინია! გულისწყრომა დავითიას განცხადებაზე სეპარატისტ ლიდერებზე სანქციის გაცემის შესახებ, აქტიური განურჩევლობით, სულერთი პრინციპით და საოცარი გულგრილობით დაამთავრა: „ამ კომისიებში, გინდათ, მიიღეთ მონაწილეობა, გინდათ, – არაა“. ამით აფიშირება გაუკეთა (ისე, რომ ვერ გააცნობიერა) საპარლამენტო კომისიათა მოხვედრით ჭაპანწვევებს.

ავვისტოს თმის მაჭავარიანისეული შეფასება ასეთია: „შეიძლება მომხდარიყო სახელმწიფოებრიობის ჩამოშლა, ეს იყო ის, რისი არდაკარგავაც შეეძლო“. მძიმე ფსიქოლოგიური ასპექტია, რომელიც მაღალი რანგის პოლიტიკოსებს ვირუსივით შეეყარათ და პარლამენტის სპიკერის პიროვნებაშიც ნოყიერი ნიდაგაი პოვა. ისინი თავს ქვეყნის სახელმწიფოებრიობასთან აიგივებენ, რაც მეტად საშიში, ხიფათიან და ავისმომასწავებელ ფსიქოგანწყობაზე მიგვანიშნებს.

ბატონო სპიკერო, გაიხსენეთ „კავკასიური ცარცის წრე“. ბრეტის სიბრძნეს პერიფრაზით შეგახსენებთ: როდესაც ხალხს შია და სცივა, თან ტირილით მიაცილებს ეროვნულ ფასულობებს, როდესაც ტერიტორიები დაკარგულია და საქართველოს გული – ქართლი – ამოგლეჯილი, რის და ვისი ხელისუფალი ხართ, ბატონო მიხეილ? ესაუბრა ლალი შაშიაშვილი

არაბულმა საზოგადოებამ ბუშისთვის თავში ფეხსაცმლის სროლისთვის დაპატიმრებული და ციხიდან ვადამდე გათავისუფლებულ შურნალისტ მუნტაზერ აზ-ზეიდი გმირად გამოაცხადა. 30 წლის აზ-ზეიდი ციხიდან გამოსვლის შემდეგ უამრავი საჩუქარიც მიიღო, მათ შორის, ორსართულიანი მდიდრული ვილა ბადდადის ყველაზე პრესტიჟულ უბანში და პალესტინელი საცოლდე, რომელსაც ოქროსა და ძვირფასი ქვების სახით ყველაზე მდიდრული მშობითა და მოჰყვა.

ოთხსაძინებელი ვილა გაბედულ შურნალისტს ქაიროს სატელევიზიო ქსელის „Al-Baghdadiya“-ს მებატონემ უყიდა. შურნალისტის ძმა ამბობს, რომ ყოველდღიურად უამრავი აღმიანი ურეკავს და ყველანიარ დახმარებას სთავაზობს, მათ შორის, ნად ფულსაც. მაგალითად, კატარის პრინცი მხადაა, ნებისმიერი სამედიცინო ხარჯი აანახლავოს. რომელდაც საუდიდან ბიზნესმენმა კი 10 მილიონ დოლარად დანაშაულის იარაღის – ფეხსაცმლის შექმნა

რას გიზამენ, პრეზიდენტს თავში ფეხსაცმელს თუ ესვრით?

მოისურვა, მაგრამ არ გამოუვიდა, რადგან მისი კონფიკაცია და განადგურება უკვე მოასწრეს გამოძიებლებმა. შეგახსენებთ, რომ აზ-ზეიდის ცხოვრებაში საბედისწერო ინციდენტი გასული წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ბადდადში მოხდა. აშშ-ს მაშინდელი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და ერავის პრემიერ-მინისტრი ალ-მადიკი ერთობლივ კონფერენციას მართავდნენ. შურნალისტმა ფეხსაცმელი გაიხადა და მიყოლებით ესროლა ბუშს თავში, თან მიაძახა: „ეს შენ, გაბოროტებული კონცა, მადლად, ქვრივების, ობლებსა და ერავში დახოცილებსაგან...“ მართალია, ფეხსაცმელმა მიხანს ვერ მიაღწია, ბუში მოხ-

ერხებულად გაერიდა „მდგენს“, მაგრამ არაბულ სამყაროში, სადაც ადამიანისათვის ფეხსაცმლის სროლა შეურაცხყოფის უკიდურეს ფორმად ითვლება, შურნალისტს გმირის სტატუსი მოუტანა. აზ-ზეიდის საქციელი აშშ-ს მიერ ერავის ოკუპაციისადმი წინააღმდეგობის სიმბოლოდ იქცა.

ბუშს კი სხვა გზა აღარ ჰქონდა, სახუმარო ტაღლაზე გადაერთო და შურნალისტს „ახალი დემოკრატიული ირანის პირველი დისიდენტი“ უწოდა. სამაგიეროდ, მისი მეუღლე ლორა გახლდათ უკიდურესად სერიოზული და მოვიანებით განაცხადა, რომ შურნალისტის საქციელი ხუმრობა კი არა, ნამდვილი თავდასხმა იყო.

რაც შეეხება ერავის ხელისუფლებას, მან „ფეხსაცმლისმსროლელობა“ გაასამართლა და სამი წლით თავისუფლების აღკვეთაც მიუსაჯა. შემდეგ სასჯელი ერთ წლამდე შემცირეს, რადგან „უდანაშაულო“ წარსული ჰქონდა, მოგვიანებით კი ციხეში კარგი ქცევისათვის ვადამდე გაათავისუფლეს.

რ. შალამბერიძე

ლაპრენტი ბერია — ქართული გენია



ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიანი

“მე მინდა გამოვიყენო შემთხვევა და აღვნიშნო, რომ მწერალთა კავშირის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საჭირობორტო საკითხი მუდამ საქართველოს კომპარტიის ცეკას ყურადღების ქვეშ იმყოფება, რომელსაც ლავრენტი ბერია თავკაცობს. იგი პირადად იღებს მონაწილეობას საკითხების გადაწყვეტაში”.

ბერია მართლაც ყურადღებიანი იყო კულტურისადმი — თავადაც შესანიშნავ ტილოებს ქმნიდა აქვარელით, უყვარდა მუსიკა და წიგნები. იმ დღეებში, როცა მიმდინარეობდა საკავშირო მწერალთა კავშირის ყრილობა, მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1937 წელს საქართველოში ჩატარებინათ რუსთაველის იუბილე და თბილისში დაეგეათ მისი მონუმენტი.

ძველის დაღმისას ნათლად გამოჩნდა ბერიას არქიტექტურული ხელება. იგი ამ საკითხისადმი გულგრილი ვერ დარჩებოდა, რადგან ქალაქის განვითარების გენერალური გეგმა მისი უშუალო ზრუნვის საგანს წარმოადგენდა.

ბერია, ხალხთან ერთად, სამეურნეო, კულტურულ და პოლიტიკურ არენაზე უფრო და უფრო მეტ გამარჯვებებს აღწევდა.

მაგრამ ეს დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. ჩუკოვსკის სხენებულ დღიურებში საინტერესოდია მოთხრობილი 1933 წლის ბათუმისა და ტფილისის ჩანახატები და სხვა პიკანტური ისტორიები, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ბერიას მამია ორახელაშვილისაგან მიიღო შეკვეთვა კერძო. მაგრამ იგი არა მხოლოდ წაშენდა “მამიას თავლებს”, იგი ასევე “თავლებსაც” აშენებდა! და აშენებდა ისე მყარად, რომ უკვე იმ დროს შეიძლებოდა ბერიაზე წიგნის დაწერა.

სხვათა შორის, დიდი საბჭოთა ენციკლოპდიის პირველ გამოცემაში ნახსენები არ იყო საქართველოს იშვიათი მეტალების საბადოები. წიგნი ხომ გვერდს ვერ აუვლიდა იგივე ორახელაშვილსა და ქართველიშვილს? ასე “იცოდნენ” ბერიამდელმა საქართველოს “პარტიულმა ლიდერებმა”, თუ რთი იყო მდიდარი საქართველო.

ბერიამ კი, თანამდებობის დაკავებისთანავე აცნობა სტალინს ამის თაობაზე! მაგრამ, იგი თავად ხომ არ დაძვრებოდა მიუხედავად გეოლოგიური ჩაქუჩით... მის დანიშნულ დამკვეთს აგზავნიდნენ გეოლოგები სათანადო ინფორმაციებს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტში და საქართველოს ცეკაში, ასევე ორივე სახალხო კომისარიატებში... მაგრამ, გამოდის, რომ შედეგს მხოლოდ მას შეძლო მიადღწევს, როცა ამიერკავკასიის და საქართველოს სათავეში ბერია ჩაუდგა.

საქართველოს მოსახლეობის 1926 წლის აღწერის მონაცემებით, მრეწველობაში დასაქმებული იყო შრომისუნარიანი მოსახლეობის 4,6 პროცენტი. მათ შორის, ფაბრიკა-ქარხნებში — მხოლოდ 1,9 პროცენტი — 100-დან ორ კაცზე ნაკლები! საქართველოს ეკონომიკას კი ქვეყნის ეკონომიკაში ეკავა მხოლოდ 30 პროცენტი — რაც განპირობებული იყო სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების უიდურესად დაბალი დონით. დსეს პირველი გამოცემის მონაცემებით საქართველოში “ირიცხებოდა” სულ 70 აგრონომი.

მტკვრისა და არაგვის შესართავთან ზემო ავჭაღის პირობულსადგურის (ზაპეხი) მშენებლობა 1927 წელს დასრულდა და იგი მხოლოდ თბილისს უსასხურებოდა. ბერიას

მოსვლისთანავე თბილისი სახეს იცვლის და იგი უკვე აღარ არის “სავაჭრო პროლეტარიატის” ქალაქი, რის თაობაზედაც ოდესღაც წერდა ახალგაზრდა სტალინი. თბილისი ხდება ამიერკავკასიის განვითარებული სამრეწველო ცენტრი.

1932 წელს ტუაფსეში ჩამოსული კორნეი ჩუკოვსკი წერდა:

“ცხელა, მტვერი და ქინკლები ცას აშვეებენ, უამრავი სილამაზეცა და გრძნობ, რომ სილამაზე სამუდამოა, საზიზღრობა კი დროებითი (იგივე გრძნობა გეუფლება, რაც მთელ საბჭოთა კავშირში), ნავთობის მშენიერი ქალაქები, მუშათა ქალაქი, რომელიც ჯერ კიდევ 1929 წელს არ იყო... ბატონობდა მხოლოდ მტვერი, სიძვირე, აზიური ყოფა...”

ბერია სწორედ ძველი სისაზიზღრობის ასალაგმად და სილამაზის დასანერგად მუშაობდა. საჭირო იყო როგორც უპასუხისმგებლობისა და უსაქმურობის ჭაობის, ასევე კოლხეთში ფოთის, აჭარისა და აფხაზეთის ნამდვილი ჭაობების დაშრობა.

იქ გამოფენილი იყო ბერიას და აფხაზეთის ხელმძღვანელ ლაკობას პორტრეტები. მალე ბერიას მიაწერნენ (მტკიცებულების გარეშე) ლაკობას მოწამლვას, მაგრამ ეს ჯერჯერობით აღნიშნულია მხოლოდ ევგენი ზოხულიას ნარკვევში “სუბტროპიკული ხალხი”.

ზოხულიას არც უფიქრია მათი დაპირისპირება. იგი ბერიას თაობაზე წერდა:

“იგი მტკიცე სამხედრო თვისებების მქონე მუშაკია. აქვს დიდი გამოცდილება იგი დიდი ერთგულებით საუბრობს სუბტროპიკებზე და ამტკიცებს, რომ ეს მხარე მალე ყველაზე ლამაზი და მდიდარი იქნება მთელ საბჭოთა კავშირში...”

აი, რას სწერდა იგი “ძველ ბოლშევიკ” ლაკობაზე:

“...ნესტორ ლაკობა — ულამაზესი აფხაზეთის პირველი ხელმძღვანელია. მას მუდამ დაფიქრებული და შეწუხებული სახე აქვს. მიღვთის სხვა მეთოდები სჭირდება, რადგან ძველი მეთოდებით მუშაობა უკვე აღარ შეიძლება”.

“შეწუხებული” ლაკობა 1921 წლიდან თავკაცობდა აფხაზეტს! იგი ყოველთვის სარგებლობდა სტალინის მხარდაჭერით, რომელიც მისი ძველი პარტიული ამხანაგი იყო. მაინც რა უშლიდა ხელს ლაკობას, რომ უფრო ენერგიულად წარემართა აღმშენებლობის პროცესები აფხაზეტში? იქნებ დროს არ ჰქონდა? მოგვიანებით ხომ სწერდა ხრუშჩოვი, რომ, როცა სტალინი სოჭში ისვენებდა, ლაკობა გვერდიდან არ ცილდებოდა. იგი ბილიარდს შესანიშნავად თამაშობდა.

უკანასკნელი ფრაზისა მე ნამდვილად მჯერა! სამაგიეროდ ბერია იყო შესანიშნავი მმართველი, ამასთან, არა უბრალოდ “მენეჯერი”, არამედ ბოლშევიკი მმართველი, რაც იმას ნიშნავს, რომ მუშაობდა არა კარიერისათვის, არამედ ხალხის საკეთილდღეოდ. ყურნალ “ოგონიოში” გამოქვეყნებული იყო სტატია სათაურით: “მიცეთ საშობლოს ლეონი, მანდარიონი და ფორთოხალი — საბჭოთა კავშირის მშრომელებისათვის”.

მაგრამ “საბჭოთა ფლორიდა” ბერიას მხოლოდ ერთ-ერთი თავსატეხი იყო. იგი, ამავე დროს, ზრუნავდა თუნდაც ჭიათურის მარგანეცზე. დსეს პირველ გამოცემაში აღნიშნულია: “ჭიათურის მარგანეცის საბადოებს ბადალი არა ჰყავს მსოფლიოში როგორც მადნეულის რაოდენობით, ასევე ხარისხით და იგი ზღვასთანაც ახლოსაა. 1913 წლამდე საქართველოს პირველი ადგილი ეკავა მსოფლიოში მარგანეცის მოპოვების მხრივ (42 პროცენტი)”.

მენშევიკურ მთავრობას საამისოდ არ სცხვოდა და მოპოვება შენერებული იყო. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. 1925 წელს ჭიათურის მადაროები სამწლიანი კონცესიით გადაეცა პარიზის ფირმას. მაგრამ, როგორც დსეს პირველი გამოცემა იუწყება, საქმისადმი მტაცებლურმა მიდგომა მოპოვების ტემპები დაბლა დასცა და 1928 წელს, როცა პარიზის

საქართველოდან წავიდა, ყველაფრის თავიდან დაწყება გახდა საჭირო.

აი. ციფრებიც: 1928 წლის აგვისტოში მადნის მოპოვებამ შეადგინა 14.200 ტონა, 1929 წლის თებერვალში — 77 ათასი ტონა, ამავე წლის სექტემბერში კი 143.500 ტონა.

ახლა მწელი დასადგენია, თუ ვისი ინიციატივით გადაეცა მადაროები საბრძოლველ პარიზის ფირმას და რა თანხა მოიგო ამით უცხოელმა. ახლა კი ჭიათურა სოციალიზმზე მუშაობდა.

ჭუთაისის მრეწველობის ასაღორძინებლად, 1928 წელს, დაიწყო რიონის მშენებლობა. პირველი აგრეგატები მწკობრში ჩადგა ხუთი წლის შემდეგ, მაგრამ სრული სიმძლავრით კეხი მხოლოდ 1935 წელს ამუშავდა. ამან ჭუთაისი, თბილისის შემდეგ, მეორე სამრეწველო ცენტრად აქცია საქართველოში. ქალაქის მოსახლეობა თითქმის ორჯერ გაიზარდა.

და ეს მხოლოდ ბერიაზეული საქართველოს რამდენიმე შტრიხია.

ბერია თავად პროფესიონალი იყო — პროფესიონალი მხევერავი, პროფესიონალი მმართველი, და ამიტომ დიდად აფასებდა პროფესიონალებს.

და აი რა მოხდა საქართველოში მაშინ, როცა ბერია ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს ხელმძღვანელობდა. რესპუბლიკაში უკვე დიდ ხანია მუშაობდა და პილდრეტქნიკის ცნობილი ინჟინერ-დამპროექტებელი ნიკოლოზ კუზმას ძე ზვორიკინი, ასევე ცნობილი ელექტროსპეციალისტი, ტელევიზიის გამომგონებელი ვლადიმერ ზვორიკინის ძმა.

ძმები არასახარბილო სოციალურ წრეს ეკუთვნოდნენ — მამა მურომის პირველი გილდის ვაჭარი იყო, პურით ვაჭრობდა. მოხდა ისე, რომ ვლადიმერ (მოგვიანებით მის სახელს ამერიკის კონტინენტის ჯილდოს დაარქმევინ) აშშ-ში აღმოჩნდა. თუმცა, ოცდაათიან წლებში იგი არაერთჯერ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში და სურდა კიდევ ისტორიულ სამშობლოში დარჩენა. და მხოლოდ მისი ცოლისძმის, მომავალი აკადემიკოს-გეოლოგის დიმიტრი ნალიკინის ბორტმა რჩევამ დაუკარგა რუსეთს შესანიშნავი მოქალაქე.

ნიკოლოზი კი სსრკ-ში დარჩა... და როცა ერთ-ერთი პილდრეტქნიკის გაანგარიშებისა დაუშვეს შეცდომა, ზვორიკინი და მისი ბრიგადის წევრები გაასამართლეს, თუმცა ისინი მაინც აგრძელებდნენ მუშაობას. შემდეგ, როცა შეცდომა გასწორდა, ყველანი გაამართლეს.

ეს იყო ბერიას მუშაობის სტილი — ყოფილიყო მკაცრი, მაგრამ არ დაეშვა სისასტიკე. განსაკუთრებით კი უსამართლობა. ამიტომ, როცა ადამიანი მას ენდობოდნენ, უკვე სხვისკენ აღარ იმზირებოდნენ. ამის ნათელი დადასტურებაა ვსეველოდ მერკულოვი...

მერკულოვი ბერიაზე ოთხი წლით უფროსი იყო.

იგი გახლდათ ოფიცრის ოჯახიდან და სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკურ ფაკულტეტზე. 1916 წელს არმიაში გაიწვიეს და 1917 წელს, ვიდრე იგი ორენბურგის პრაორნიკთა სკოლას დაამთავრებდა, მცირე საბრძოლო ნათლობაც მიიღო.

1918 წლიდან ექს-პროპორნიკი მერკულოვი თბილისშია და მუშაობს ბრმათა სკოლის მასწავლებლად. მენშევიკურ მთავრობას მისი ჯარში გაწვევა არ შეეძლო — ეს არ გახლდათ რუსეთი, სადაც განუწყვეტლივ მიმდინარეობდა “წითლებისა” და “თეთრების” გაწვევა. როგორც ჩანს, მაშინ მერკულოვმა კარგად არ იცოდა, თუ სად უნდა მდგარიყო. მაგრამ 1921 წლის სექტემბერში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მერკულოვი საქართველოს ჩეკაში იწვებს მუშაობას. მალე კი ტფილისში ჩამოდის ბერია და მერკულოვიც მის თვალსაწიერში ხვდება.

1931 წლის ოქტომბერში ბერია პარტიულ სამუშაოზე გადაიყვანეს და მან, პოლიტსამმართველოდან ამიერკავკასიის სამხარეო

კომიტეტში, თან წაიყოლია მერკულოვიც (პარტიის (ბ) წევრი 1925 წლიდან). მაგრამ, როგორც ვიცით, მანამდე ბერიას გარკვეული პრობლემები ჰქონდა. აი, რას სწერდა მერკულოვი 1930 წელს ბერიას, როცა ამ უკანასკნელს დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა ამიერკავკასიის მაშინდელ ხელმძღვანელობასთან:

“აქ, ჩვენთან ვრცელდება ხმები, რომ თქვენ მალე წახვალთ ტფილისიდან... ამასთან დაკავშირებით, თქვენდამი მაქვს ერთი უმორჩილესი თხოვნა: მე ნუ დამივიწყებთ. თუ მართლაც წახვალთ ამიერკავკასიიდან, გთხოვთ წამიყვანოთ იქ, სადაც თქვენ მიგაგლინებენ. ქალაქი და თანამდებობა მე არ მაინტერესებს: თანახმა ვარ ვიმუშაო ნებისმიერ თანამდებობაზე...”

ეს თხოვნა ჩვენს ყურადღებას იქცევს სამი გარემოების გამო... პირველ რიგში იგი ასახიათებს ბერიას როგორც ადამიანს და როგორც ხელმძღვანელს. მეორეც — იგი ასახიათებს მერკულოვს, როგორც ადამიანს. მესამეც — ამგვარი ერთგულება დამახასიათებელი იყო იმ პერიოდის პარტიული მუშაკებისათვის

ახლა კი ყველაფერს დაწვრილებით ავხსნი...

თავად მერკულოვიც არ იყო ორდინალური პიროვნება, კალამი მაგრად უჭრიდა და სტატეებს აქვეყნებდა “ვსეველოდ როკის” ფსევდონიმით. იგი ბერიასთან ერთად მიიწვევდა მაღლა თანამდებობრივ საფეხურებზე: სამხარეო კომიტეტის პირველი მდივნის თანამშემვე, კომიტეტის საბჭოთა-სავაჭრო განყოფილების უფროსი, ცენტრალური კომიტეტის და უმაღლესი საბჭოს სავაჭრო-სატრანსპორტო განყოფილების გამგე, სსრკ სახკომსაბჭოს სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე, სახალხო კომისარ ბერიას პირველი მოადგილე და სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსი.

მაგრამ, მერკულოვს ვერ ჩავთვლით ბერიაზე მიწვევულ ადამიანად. იგი, უბრალოდ, სხვებზე ადრე შეამჩნია და შეაფასა ბერია, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს კადრების შერჩევის საქმეში ბერიას ბრძნულ ხედავზე. მაგრამ, მერკულოვი “შეამჩნია” არა მხოლოდ ბერია, იგი ასევე “შეამჩნია” სტალინიც. მოგვიანებით ხომ სწორედ სტალინი მა დანიშნა მერკულოვი სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრად, შემდეგ კი სსრკ სახელმწიფო კონტროლის მინისტრად...

და თუ ასეთი ადამიანი მზად იყო, რომ ბერიას დასალოცად დაეხმობოდა, ეს შეიძლება ერთმნიშვნელოვნად შეფასდეს: მერკულოვს აინტერესებდა იმ ხელმძღვანელთან მუშაობა, რომელთან მუშაობაც საინტერესო იყო. ეს კი უფროსისათვისაც პლუსია და ქვეშევრდომისათვისაც. თანაც, ეს თხოვნა დაწერილია 1930 წელს, როცა ბერია პოლიტსამმართველოს უფროსი იყო, და სხვა სამსახურში გადაყვანის შემთხვევაში, დიდი დიდი, შეიძლება, სადმე, საოლქო სამმართველოს უფროსად დაენიშნათ. და, არა დიდ ქალაქში, არამედ სადმე, მეორეხარისხოვან დასახლებაში. მაშინ ხომ, საკვები პროდუქტების დიდი დეფიციტი იყო, თვით უკრაინაშიც კი. და ჩეკისტებს არც თუ ისე დიდი ხელფასი ჰქონდათ...

მამია ორახელაშვილზე და სხვა “ლიდერებზე” მერკულოვის ეს თხოვნა კარგს არაფერს ამბობდა. მერკულოვის განწყობა იმაზე მეტყველებს, რომ მას სათანადოდ არ აფასებდნენ ელემენტარული ფაქტების მომხსენებით — იგი “ბერიას კაცი” იყო. მეორეც, მერკულოვს ყურადღებას არ აქცევდნენ სწორედ მისი მაღალი საქმიანი თვისებების გამო. ასე კი მხოლოდ არაკომპეტენტური ხელმძღვანელები იქცევიან, ისეთები, როგორებიცაა “მაგიები” არიან.

და იმდენად, რამდენადც ქვეყანას მაშინ უადრესად კომპეტენტური ადამიანი მართავდა, პოლიტიკური არენიდან სწორედ “მამიებს” მოუწიათ წასვლა. ბერია კი სავსებით სამართლიანად იქნა აყვანილი ამიერკავკასიის თანამდებობრივ მწვერულზე.

გაგრძელება იქნება

“კოლხები – ქართველების წინაპრები”

ქართველმა მეცნიერებმა ერთმნიშვნელოვნად აღიარეს, რომ სწორედ მეგრული ენა იყო კოლხური ენა, რომელზედაც ეს ტომები მეტყველებდნენ.

ბუნებრივია, კოლხეთის სამეფოში დასახლებული ტომები მეგრული ტერიტორიული ჯგუფები იყვნენ და ამ სახელებით იმიტომ შემორჩნენ ისტორიას, რომ ცხოვრობდნენ ეგრისის სამეფოს იმ კუთხეებში, რომლებსაც ეს სახელები ერქვათ.

ამდენად, აშკარაა, რომ ბერძენებმა სწორედ ეგრისის სამეფოს დაარქვეს კოლხეთის სამეფო და მის მკვიდრებს მეგრელებს – კოლხები.

როგორც პეროდოტე (ძვ.წ.აღ. V საუკ.) გმაცნობს, მის ეპოქაში კოლხეთის (ეგრისის) სამეფო მოიცავდა ტერიტორიას შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან კასპიის ზღვამდე. ფაქტობრივად მთელ სამხრეთ კავკასიას, სადაც ცხოვრობდნენ კოლხები (მეგრელები) და გავრცელებული იყო კოლხური (მეგრული) ენა.

ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილში წარმოიხდინა “იბერიისა” და “ალბანეთის” სამეფოები. რამ განაპირობა ეს მოვლენა, დაუდგენელია, მაგრამ ამ სამეფოებს საფუძველი ჩაუყარეს ამ ტერიტორიაზე მცხოვრებმა კოლხურმა (მეგრულმა) ტერიტორიულმა ჯგუფებმა.

მართლაც, რომ არაფერი ვთქვათ ყოფილ ალბანეთის სამეფოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ტომონიმებზე, გამოთქმებზე, სიტყვებზე, არსებობს IX საუკუნის ბიზანტიური ენციკლოპედია, სადაც წერია: “ალბანელები მეგრელები არიან”.

ამდენად, როგორც “იბერები”, ასევე “ალბანებიც”, კოლხეთის (მეგრელების) შთამომავლები იყვნენ და “იბერიულ” და “ალბანურ” ენებს სწორედ კოლხური (მეგრული) ენა დაელო საფუძველი.

სამწუხაროდ, “ალბანეთის სამეფო”, გარდა მისი დასავლეთი რეგიონის, “ჰერეთისა” (დღევანდელი კახეთის ტერიტორია), მოსწყდა ქართულ სინამდვილეს; V საუკუნეში ალბანეთი სპარსებმა დაიპყრეს და მეფობა გააუქმეს, IX-X საუკუნეებში კი თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს, რომლებმაც განახორციელეს ალბანეთის სრული ასიმილაცია, რის გამოც, ერთიანი საქართველოს ეპოქაში (XI-XV სს.), უკვე არც ალბანეთი არსებობს და არც ალბანები ჩანან.

ყოველ შემთხვევაში, IV საუკუნიდან საქართველოს ისტორია “იბერიისა” და “ეგრისის” სამეფოების ისტორიაა.

სწორედ ამ სამეფოების გაერთიანებაში მდგომარეობდა ერთიანი საქართველოს არსი და “იბერებისა” და “მეგრელების” ერთიანობაში – ერთიანი ქართველი ერი-სა, ვინაიდან ამ ეპოქიდან “იბერების” ქვეშ მოიაზრებოდნენ აღმოსავლეთის ქართველები, ხოლო “მეგრელების” ქვეშ – დასავლეთის ქართველები.

ახალი წელთაღრიცხვის საწყისი საუკუნეებისათვის, არც ეგრისის და არც იბერიის სამეფოებში, ფაქტობრივად, არ ჩანან კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს დასახელებული ტომები, მაგრამ ამ სამეფოების სინამდვილეში წარმოიხდინა ახალი ტერიტორიული ჯგუფები.

იბერიის სამეფოში ძველი წელთაღრიცხვის ეპოქიდან მხოლოდ მესხები და ჯავახები შემორჩნენ, ხოლო პირველი ათასწლეულის სხვადასხვა ეტაპზე წარმოიხდინა ახალი ტერიტორიული ჯგუფები: კახელები, ინგილოები, ქიზიყელები, მთიულელები და ა.შ. მაგრამ ამას არც ეთნიკური, არც ენობრივი და არც სარწმუნოებრივი ცვლილებები არ მოჰყოლია, ვინაიდან ისინი ყველანი იბერები იყვნენ და ამ სახელებით იწოდებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ცხოვრობდნენ იბერიის იმ კუთხეებში, რომლებსაც ეს სახელები ერქვათ.

არც ეგრისის სამეფოში შემორჩნენ ძველი წელთაღრიცხვის ეპოქიდან ტომები; სამაგიეროდ, I-II საუკუნეებიდან, ეგრისის სამეფოს სინამდვილეში წარმოიხდინა

ახალი ადმინისტრაციული ერთეულები – ლაზიკის, ჭანეთის, აფხაზეთისა და მარგვეთის საერისთავოები.

ეგრისის სამეფოს სამხრეთ ნაწილში ჩამოყალიბდა ლაზეთის საერისთავო, რომელშიც შემდგომში ჭანეთიც შევიდა; აღმოსავლეთ ნაწილში, დღევანდელი ზემო იმერეთისა და რაჭის ტერიტორიაზე – მარგვეთის საერისთავო და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ახალი ათონიდან ნიკოფსიამდე (დღევანდელი ტუაფსეს მიდამოები) – აფხაზეთის საერისთავო.

არც ამ მოვლენას მოჰყოლია რაიმე ეთნიკური, ენობრივი ან სარწმუნოებრივი ცვლილებები, ვინაიდან ისინი მეგრელები იყვნენ; უფრო ზუსტად, “ლაზეთში” მცხოვრებ მეგრელებს, პირობითად, დაერქვა “ლაზი”, “აფხაზეთში” მცხოვრებს – “აფხაზი” და “მარგვეთში” – “მარგველი”.

ბუნებრივია, მათი მშობლიური ენა იყო მეგრული, უფრო სწორად, მეგრული ენის ლაზური, ჭანური, აფხაზური და მარგველური დიალექტები.

როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოს ერთიან ეგრისის სამეფოში, I-II საუკუნეებიდან, სახელმწიფო რელიგიად აღიარეს ქრისტიანობა და, ამ ეპოქიდან, მეგრელები (მათ შორის ლაზ-ჭანები, აფხაზები და მარგველები) ჭეშმარიტი მართლმადიდებლები არიან.

ყოველ შემთხვევაში, ახალი წელთაღრიცხვის ეპოქაში ეს საერისთავოები აქტიურად მონაწილეობდნენ ეგრისის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

უფრო მეტი, IV-VII საუკუნეებში ეგრისის სამეფოს სათავეში ვხვდებით ლაზური დინასტიის წარმომადგენლებს, რის გამოც ეგრისის სამეფოს ეწოდა “ლაზეთის სამეფო” და მის მკვიდრ მოსახლეობას – მეგრელებს (მათ შორის აფხაზებსა და მარგველებსაც) “ლაზები”.

ასეთივე მოვლენა განვიტარდა VIII-X საუკუნეებში, როდესაც ეგრისის მეფე გახდა აფხაზური დინასტიის წარმომადგენელი. სწორედ ამ ეპოქაში ეგრისის სამეფოს ეწოდა “აფხაზთა სამეფო”, უფრო ზუსტად, “ეგრის-აფხაზთა სამეფო” და მის მკვიდრ მოსახლეობას (მათ შორის ლაზებს, ჭანებს და მარგველებს) – “აფხაზები”.

არც ერთი ეს მოვლენა რაიმე ომებთან არ ყოფილა დაკავშირებული. საგარაუდოდ, რომ ეს ცვლილება ხდებოდა დინასტიური გზით; მით უმეტეს, ამ საერისთავოების მმართველი საგვარეულოები, ალბათ, ეგრისის სამეფო საგვარეულოს ახლობლები იქნებოდნენ.

ლაზების, ჭანებისა და მარგველების, რიგითი მეგრული ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლების ჭეშმარიტი ქართველობა არასოდეს დამდგარა ეჭვის ქვეშ, მაგრამ, სამწუხაროდ, ისტორიული გაუგებრობის შედეგად, სრულიად არასწორი აზრი ჩამოყალიბდა აფხაზეთის რაობაზე, აფხაზების ვინაობაზე, იქ განვითარებულ მოვლენებზე და საუბარიც, ძირითადად, ამ საკითხს ეძღვნება.

როგორც აღვნიშნე, ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ახალი ათონიდან ნიკოფსიამდე (დღევანდელი ტუაფსეს მიდამოები), I საუკუნეში წარმოიხდინა ახალი ადმინისტრაციული ერთეული აფხაზეთის საერისთავოს სახით. მართალია, უცხოურ წყაროებში აფხაზიას ხან “აბაზეიად”, ხან “აბკასიად”, ხან “აბასკიად” და ა.შ. მოიხსენიებენ, რაც ენის ბარიერთაა გამოწვეული, მაგრამ მისი ერთადერთი დასახელებაა “აფხაზეთი”, რომელიც მეგრული ტომონიმია, “აფხა” მეგრულად “ბეჭს” ნიშნავს.

ბუნებრივია, აფხაზეთი, როგორც ადგილის დასახელება, ადრეც იარსებებდა, მაგრამ იქ მცხოვრებ მეგრელებს მაშინ აფხაზები არ ერქვათ. აფხაზეთში მცხოვრებ მეგრელებს აფხაზები დაერქვათ მხოლოდ მას შემდეგ, რაც აფხაზეთი გახდა საერისთავო.

რა თქმა უნდა, ამას არავითარი ცვლილებები არ მოჰყოლია: აფხაზების მშობლიური ენა ისევ მეგრული იყო, მათ ისევ

მეგრული გვარები დარჩათ და პირველი საუკუნიდან, ჭეშმარიტი მართლმადიდებლები იყვნენ.

აი, რას წერს VIII საუკუნის ცნობილი ქართველი მწერალი იოანე საბანისძე: “აფხაზეთი – ქვეყანა სასუსა ქრისტეს სარწმუნოებით და არაჲინ ურწმუნო არ ცხოვრობს მის საზღვრებში”.

ამაში მოულოდნელი არაფერია, აფხაზეთი ეგრისის სამეფოს რიგითი კუთხე იყო, აფხაზები ერქვათ იმ მეგრელებს, რომლებიც აფხაზების საერისთავოში ცხოვრობდნენ.

ამდენად, ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება, თითქოს აფხაზეთში ადგილი ჰქონდა ორბიბრიგენობის მოვლენას, აბსურდია, ვინაიდან აფხაზეთის ორბიბრიგენობა მხოლოდ ქართველები არიან; მითუმეტეს, სწორედ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს (მეგრელებს) დაერქვათ აფხაზები.

რაც შეეხება აფხაზეთში მცხოვრებ ჩრდილოკავკასიელებს – ჩერქეზებს, ადიღეებს, ბალყარებს, ყაბარდოელებს და სხვებს, ისინი ბოლო 2-3 საუკუნის განმავლობაში არიან ჩამოსულები, მათი რაოდენობა აფხაზ ერში დღესაც უმნიშვნელოა (დაახლოებით 10-12 პროცენტი), რაც ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდა აფხაზების ეთნიკურ შემადგენლობაზე.

ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ აფხაზები ქართველები (მეგრელები) არიან და აფხაზეთი ეგრისის სამეფოს რიგითი რეგიონი იყო, ისევე, როგორც ლაზიკისა და მარგვეთის საერისთავოები.

სწორედ იმ ეპოქაში (VIII-X სს.), როდესაც ეგრისის სამეფოს სათავეში იმყოფებოდა აფხაზური დინასტია, ეგრისის სამეფოს ეწოდა “აფხაზთა სამეფო” და მის მკვიდრებს მეგრელებს (მათ შორის ლაზებს, ჭანებს და მარგველებს) ეწოდებოდა “აფხაზები”. სამეფოში ბიძგი ქართული საქმე გაკეთდა:

– ეგრისის სამეფო აღსდგა ისტორიულ საზღვრებში და თითქმის დამოუკიდებელი გახდა ბიზანტიის იმპერიისაგან;

– ეგრისის ეკლესია გამოეყო ბიზანტიის ეკლესიას და მცხეთის ეპარქიაში შევიდა (IX ს.);

– დასავლეთ საქართველოს ერთიან ეგრის-აფხაზეთის სამეფოში სახელმწიფო ენად დადგინდა ქართული ენა (IX საუკუნე);

– ეგრის-აფხაზეთის მეფე გიორგი I-მა (861-868 წ.წ.) შეძლო თავის სამეფოსათვის შემოეერთებინა ყოფილი იბერიის (ქართლის) სამეფოს ტერიტორია, საიდანაც არაბები უკვე წასული იყვნენ. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში;

– IX საუკუნეში ეგრის-აფხაზეთის დედაქალაქი გახდა ქუთაისი, რაც ტერიტორიულად გამართლებული იყო, ვინაიდან ყოფილი იბერიის (ქართლის) სამეფო უკვე ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ეკუთვნოდა;

– სწორედ იმ ეპოქაში დაიწყო აქტიური ბრძოლა საქართველოს გასაერთიანებლად.

VIII-X საუკუნეებში ეგრის-აფხაზეთის სამეფომ მიიღო და შეიფარა არაბების ბატონობას გამოქცეული ქართველები, რამაც შეძლო მათ განაპირობა ეგრისის სამეფოს ტერიტორიაზე ქართულენოვანი რეგიონების – იმერეთის, გურიის, რაჭისა და აჭარის წარმოქმნა.

ყოველივე ამის შემდეგ, ისტორიული აფხაზების ჭეშმარიტი ქართველობის ეჭვის ქვეშ დაყენება მეცნიერული ავანტიურაა.

975 წელს ეგრის-აფხაზეთის მეფე გახდა უსინათლო და უშვილო თეოდოს II, რომელმაც მექვიდრედ გამოაცხადა დისშვილი, სამხრეთ ქართველთა მეფის ბაგრატ II-ის შვილისშვილი ბაგრატ III, ბაგრატის ძე, რომელიც მეფედ 978 წელს აკურთხეს.

სწორედ ამით შეწყდა აფხაზთა მეფობა ეგრის-აფხაზეთში. მაგრამ ეს იყო უაღრესად ბრძანება გადაწყვეტილებებს, რაც იძლეოდა შანსს, საქართველო დინასტიური გზით გაერთიანებულიყო, ვინაიდან ბაგრატ

III-ს სამი სამეფო ერგებოდა მემკვიდრეობით – ეგრისი და იბერია (ქართლი), როგორც თეოდოს II-ის მემკვიდრეს, ხოლო სამხრეთ ქართველთა სამეფო, როგორც ბაგრატ II-ის შვილისშვილს.

თუმცა, საქართველოს გაერთიანება იოლად როდი მოხდა. ბაგრატ III თითქმის 30 წელი იბრძოდა იმისათვის და მოგველინებოდა ერთიანი საქართველოს პირველ მეფედ, ტიტულით „ბაგრატ III – მეფე აფხაზთა, ქართველთა, კახთა და რანთა“ (1010 წელი).

ერთიანი საქართველოს ეპოქა (XI-XV საუკუნეები) უდიდესი მოვლენა იყო საქართველოს ისტორიაში. ქვეყანამ მიადგო გამორჩეულ სიძლიერეს და სწორედ ამ ეპოქაში ეწოდა „საქართველო“ და, შესაბამისად, გაჩნდა ცნებაც – „ქართველი“. ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ II-ის პატივსაცემად, ვინაიდან ის, წარმოშობით, სამხრეთ ქართველთა სამეფოდან იყო.

სწორედ ამ ზოგადქართული ცნებების ქვეშ მოიაზრებოდნენ ქართული კუთხეები და მათი მკვიდრები, ბუნებრივია, აფხაზეთიც და აფხაზებიც.

– ერთიანი საქართველოს სამეფოში დასავლეთ საქართველო, ყოფილი ეგრისის სამეფოს ტერიტორია ერთ ერთეულად შევიდა, მისი უცვლელი პატრონი იყო ესა თუ ის დადიანი, რომლის დომენიც გახდა საშტატო (ქუთაისი და მისი შემოგარენი);

– დადიანს მალაღობა თანამდებობა ეკავა მეფის კარზე და, ძირითადად, თბილისში იყო, ხოლო მის სამფლობელოს ერთსავე განაგებდნენ;

– ერთიანი საქართველოს ეპოქაში ისევ აღსდგა აფხაზეთის საერისთავო (XI საუკუნე) და მისი ერისთავები უცვლელად იყვნენ ლაზური გვარის ფეოდალები, შარაშები (ქართულ წყაროებში – შერვაშიძეები);

– ამ ეპოქაში აფხაზეთის საერისთავო მოიცავდა ტერიტორიას ანაკოფიდან (დღევანდელი ახალი ათონი) ნიკოფსიამდე (დღევანდელი ტუაფსეს მიდამოები);

– ამავე საუკუნეში წარმოიხდინა „ოდიშის საერისთავო“, ცენტრით ბეია. მისი ერისთავები იყვნენ დადიანები, რომლებიც „ბედიან-დადიანებად“ იწოდებოდნენ;

– დავით აღმაშენებელმა ურჩი ლაზი ფეოდალები – ბაღვაშები სასტიკად დასაჯა და ჩამოართვა აღმოსავლეთ საქართველოში კლდეკარის საერისთავო, ორბეთი, სკირეთი და ატენი, რომლებიც შემდეგ დადიანის გადასცა. ჩამოართვა მარგვეთის საერისთავოც და დაუტოვა მხოლოდ მარგვეთის ჩრდილო ნაწილი, რაჭა, რომელსაც შემდგომში რაჭის საერისთავო (XII საუკუნე) ეწოდა;

– ლაზეთის საერისთავოს ის ნაწილი, რომელიც მცირე აზიაში მდებარეობდა, მოექცა ახლადწარმოიხდინა ტრაპიზონის იმპერიაში (1204 წელი), ლაზეთის იმ ნაწილში, რომელიც დადიანის მფლობელობაში დარჩა (ტერიტორია სარფიდან მდინარე რიონამდე), ჩამოყალიბდა გურიის საერისთავო და მისი ერისთავებიც იყვნენ დადიანები, რომლებიც „გურიელ-დადიანებად“ იწოდებოდნენ.



უენიფარი მპარტვილის სიბრძნე ერის გასაჭირია...



სამეგრელოში „ჭყონდიდელობის“ სახალხო დღესასწაულზე ჩავედი, რომელმაც უწვეულოდ მშვიდად ჩაიარა მარტვილში. ეს არ იყო ვიდაცის დაკვეთით „გაპიარებული“ (არ მიყვარს უცხოური გამოთქმების ხმარება, მაგრამ მიყვარს, ამჯერად უხდება სათქმელს) ღონისძიება, მეტი წილი ის ხალხი მოვიდა, ვისაც წარმოადგენდა ჰქონდა ვინ იყო ჭყონდიდელი და რატომ უნდა ზეიმობდეს მას მარტვილი და სრულიად საქართველო, ამიტომაც არსად გამოჩნებულა „ყვითელი ავტობუსები“ და მათი კლონირებული მკაფიოები, არ გამოჩნებულა „მიშა მაგარიას პარტიტები“ რამაც ორმაგი სიმშვიდე შესძინა საზეიმო განწყობას და რაც მთავარია, მრევლმრავალ მარტვილის მონასტერში, არც საკურთხეველში შევარდნილა ვინმე მოძღვრისთვის სიტყვის წასართმევად, როგორც ეს თბილისში, სამების დედა ტაძარშია ამ ბოლო დროს მიღებული. ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა. მოძღვარმა იქადაგა, შეასხენა მრევლს გიორგი ჭყონდიდელის საველიოები და სახელმწიფო დამსახურებებზე, ოსტატის და შეგირდის პარმონიულ ურთიერთობაზე – დავით აღმაშენებლის გაუგონარ წარმატებებზე სასულიერო და სახელმწიფო ასპარეზზე..

საღამოზე სუფრა გაიშალა, ახლა თამადამ დაითრია საქართველო განწყობილი მრევლი და თითქმის იგივე გაიმეორა (რა თქმა უნდა საერო ფორმატში), რაც მოძღვარმა ღვთისმშობლის ტაძარში, თანაც, „ჩვენ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ და რაც ჩვენს თავს ხდება მოჩვენებაა, დედა ღვთისმშობელი არ გაგაწირავსო“ – ისე დაჯერებით უთხრა თანამეზობლებს, თამადა კი არა, მოძღვარი გვერდებოდა, უფლის მიერ, ცრდილ მიწაზე, ღმერთსა და მრევლს შორის შუამავლად გამოეხატა!

ურნალ „სათანოში“ დაბეჭდილი ზურაბ დანელიას კალამბურები გამახსენდა – „უმწიფრობა დიდი ღირსებაა, ოღონდ კიტი უნდა იყოს“. ღმერთი გაგახარებთ, ძლიერს არ გაივებ რატომ მოსწონთ თავი ჩვენს პრეზიდენტს და მის მთავრობას? როგორც კი ტრადიციულ, ქართულ ილუზიებზე გადავიდა თამადა და ის იყო საქართველოს პრეზიდენტის და მისი მთავრობის საგმირო საქმეებზე წამოიწყო საუბარი, ის კალამბური გამახსენდა, სადღევრდელს ყველა გიორგი თვალწინ დამიდა და დასწვევლს ღმერთმა – ყველა მათგანს თავის ადგილას კიტი ება.. სუფრის წვერებმა იქიფეს, მოილხინეს, იტრახახეს, დაიქანდეს, საქართველო გააერთიანეს, ყველა მტერს დედა უტირეს და სახლებში დაიშალენ..

ასე „მშვიდად“ ჩაიარა ჭყონდიდელობამ „საქართველოს ხერხემალი“ – სამეგრელოში, მაგრამ მინც გულდაწყვეტილი წამოვედი სახლში, რადგან, არც მოძღვარს და არც მამდარ თამადას გახსენებია, რომ ჩვენს გაუბედურებულ სამშობლოს, საქართველოს, არც ჭყონდიდელი ჰყავს და არც მისი გენიოსი შეგირდი აღმაშენებელი, რომ ახალი „ძღვევა საკვირველი“ გველოდეს..

ცოტა ხანს მარტვილის ცენტრში დავეკვი, მეტი კი სახლისკენ გავუდევნი გზას. ერთი მოხუცი დამემგზავრა. ინჩხურის ხიდან გავეჩრდი. ზურგსუკან განათე-

ბული მარტვილი და საოცრად ღამაზი მონასტერი გამოჩნდა, ფოტოაპარატი გაემართე და ღამის მარტვილი გადავიღე. ვაჩვენე გადაღებული კადრი, გაუხარდა..

ხომ გაგინათათ ახალმა მთავრობამ მარტვილი, ხედავთ ცახე დაკიდული, უხარმაზარი ჭადივით რომ მოსწინას გახსნახებული მონასტერი-მეთქი.. მინდოდა კიდევ გამეგრძელებინა საუბარი, მაგრამ მოხუცს რომ შევხედე შემეშინდა ისეთი სახე ჰქონდა..

საუბარს რომ მოვრნი, ახლა მე მომისმინე – „სტუმარი რომ ხარ კი ვხედები, მაგრამ მარტვილი რომ უცხო არ უნდა იყოს შენთვის, ამასაც კარგად ვხედავ, თუ კაცი ხარ, რა სჭირდა მარტვილს საიმისო, განათება რომ არ დაგვამადლონ ამ უმწიფრობა!“

უმწიფრობაო?! ეს რომ თქვა, გამელიძე – ხილისკენ მომავალი საქართველოს პრეზიდენტი და მისი მთავრობა წარმომიდგა. მოხუცმაც გააგრძელა – „მარტვილს რომ ელექტროსადგური ჰქონდა და განათებული იყო, საქართველოს დიდ ნაწილს წარმოადგენდა არ ჰქონდა ნათურა რა იყო, შენ იმ ასაკის ხარ, ილიჩის ნათურა გეხსომებაო!“

როგორ არ მახსოვს აბჰესი „გოგელროს“ გვეგობ აშენდა მეთქი, რომ შევეწვიე, ბავშვით გაუხარდა და ახლო წარსულის გაუთავებელ ხობას შეუდგა. მანამდე ვალაპარაკე, ხანამ ღენინის ქება არ დაიწყო.. აქ კი, გავეჩრდე და – მაგას ნუ მისვენებ, სწორედ ამ ნორჩმა ღენინელებმა დაღუპეს ქვეყანა, თორემ აქამდე რა გვიჭირდა-მეთქი, რომ ვუთხარი თვალში გაუფართოვდა და მაშინვე შემომიტია:

– რა შუაშია აქ ღენინი, ან რა ცხიათ ამ მოუთავებლებს (კარგად ვიხსენებ მეგრულად – „უმუთებუ“) ღენინისო!

კიდევ უფრო გაგამწვავე თქმა:

– სულ სტალინის გინებაში არიან ეს შენი „მოუთავებლები“, ერთხელ არ წამოცდენიათ, რომ ღენინი იყო მისი მასწავლებელი. მოსწავლის შეცდომაზე კი მასწავლებელი იკლავდა თავს. ასეთი იყო ქართული წესი და ადათი..

ახლა სტალინის გინება ვერ მოითმინა და გაცხარდა მოხუცი:

– სტალინი რა შუაშია! თვითონ არ ვარგიან ეს მართლა მოუთავებლები, ან შენ სად ნახე სტალინის შეცდომა, ღენინს რომ მაგისტრის თავი მოეკლა, ამათმა დაანგრეს ყველაფერი! სტალინიმ შექმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, ქვეყანა, სადაც ყველა რესპუბლიკა და უამრავი ერი თანაბარი უფლებებით სარგებლობდა, ხრუსჩოვმა და ბრეჟნემა საბჭოთა კავშირი იმპერიად გადაქციეს, იმიტომ, რომ მოსკოვში სასმელიც თავსაყრდად იყო და საჭმელიც, დანარჩენი საბჭოთა კავშირი კი შიმშილობდა. გორბაჩოვმა კი საბჭოთა კავშირი დაანგრია და სოციალიზმი ზედ მიაცილა. გეგითხები, რითი იყო სოციალიზმი ცუდი? უფასო იყო განათლება, მკურნალობა.. ახლა კაცი ავად რომ გახდებოდა, დიდი ფული არა გაქვს, ორდობეში ამოგვკრება სულ.

– ძიაკაცო, თქვენი ასაკის კაცი პენსიაზე იქნებით ალბათ, მაგრამ როგორც გატყობთ მაინც მუშაობთ. ჭკუას მაინც თუ გეკითხებიან ახალგაზრდები თქვენი ასაკის და გამოცდილების კაცს?

გაკვირებულმა შემომხედა

– კაცო შენ ხომ თბილისიდან ჩამოსვედი?

დაიხ-მეთქი, მივუვკე!

– ჰოდა, ვინ ცხოვრობს დღეს პენსიით, მე რომ ფეხი ფეხზე გადავიდი?! ჩემი პენსია პურის ფულად არ მიყვოდა მარტო კაცს.. რაო, რა თქვი, ჭკუას ხომ არ მეკითხება ვინმე?! ჩემი ჭკუა ვის რათ უნდა! ჭკუას ჭკვიანი კაცი დაეკითხება სხვას, ესენი ისე იქცევიან – თითქოს ცხრა ცხოვრება ჰქონდეთ გამოვლილი.. თავიდან, ვერაზდებოლი მათზე, მაგრამ, რაც მეტი ვიფიქრე, ახლა კი არ ვერაზდები, მეცოდები და ისინი. მივხვდი – პრობლემა იმაშია კი არ არის, თითქოს, უმწიფარი მთავრობა არ კადრულობს მათზე გამოცდილებს

რჩევა თხოვოს! უფრო რთულად და საქმე – მათმა, სრულიად მარტივად, არ იციან რა ჰქონდათ მათზე უფროსებს და გამოცდილებს, და ამიტომ არიან თავს მათთან ურთიერთობას!

მართლაც, ამპარტავნობა, უწიფრობა, საკუთარ თავზე უსაფუძვლო, გადამტეხბული წარმოდგენა, არაკომპეტენტურობა, ქართველისთვის უწვეულო, არადაამახასიათებელი ქცევა, უფროს-უმცროსის ურთიერთდაპირისმართების ათასწლოვანი ტრადიციების უგულვებელყოფა, ელემენტარული ჩაცმის კულტურის უქონლობა და, კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი რამ გააქრა თვალსა და ხელს შუა, ამ „ნაყვავილად“ რევოლუციის მიყოლილი „უმწიფრობის“ ხელში.

მას შემდეგ, რაც კარგად დავფიქრდი, ყველაფერი გაგანალიზე და წარმოვიდგინე. ვისთან აქვთ იმ უცხოელებს ურთიერთობა, ჩვენზე შეურაცხყოფელ დასკვნებს რომ აკეთებენ, საიდან მოდის ათასწლოვანი ქვეყნის და მისი ხალხის დამამცირებლად და ავადმყოფად მოხსენიება?! შორს არ დამჭირებია წასვლა.. არც დიდი მეცნიერული კვლევაა საჭირო ამის დასადგენად – დააკვირდით და მოუსმინეთ „ნაყვავილად“ რევოლუციის სამთავრობო და საპარლამენტო კადრების საქციელს – ქართულ ზნეობადაკარგულნი, გააპერიკლებას რომ ცდილობენ!

ხომ წარმოვიდგინათ – საკუთარ სახლში, უფროსებთან სასაუბრო „ბაგავის“ არ მქონე ხალხი, რა მარგალიტებს დააფრქვევს უცხოეთში, ისიც უცხო ენაზე?!

აგაშენა ღმერთმა, სწორედ ამან გამახსენა – რატომღაც, სააკაშვილი და მისი „უმწიფრობისგან“ ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა, საერთოდ უგულვებელყოფილია. არც მისი წინამორბედი შევარდნაძე იკლავდა თავს ქართულად საუბრით უცხოეთში და რუსულად (რომელიც არც ისე გადახარვედად იცოდა!) ებლუკუნებოდა მის „მეგობრებს“ რეიგანს, ბუშს, გენშერს, კოლს, „რუსული დემოკრატიის დასაცავად მასთან ერთად ტანკზე ანამხედრებ“ ბორის ელცინს, რომლებმაც, როგორც კი დახმარება დაჭირდა საქართველოს – უადგილო ადგილას დაიკიდეს იგი.

ამისხენით – რატომ საუბრობენ რუსეთის პრეზიდენტი და მისი დიპლომატები საერთაშორისო შეხვედრებზე რუსულად და არა ინგლისურად ან გერმანულად? იქნებ, იმასაც იტყვიან, რომ მათმა არ იციან, ან ვერ ისწავლეს ინგლისურ ან გერმანულ ენაზე ლაპარაკი?

თავიდან უხსენებელმა დაამკვიდრა უცხოეთის მაღალი ტრიბუნებიდან საქართველოს მეთაურთა რუსულად საუბარი. „მიშა მაგარია“ კი ინგლისურად ერეკება დღემდე!..

თუ ქართველი ხარ და საქართველო სახელმწიფოა, რომლის პრეზიდენტობისთვის ქვას ქვაზე არ ტოვებ, მაშინ კეთილ ინებე და მის ენაზე – ქართულად ილაპარაკე!

„უხსენებელი“ უცხოთათვის იმ აზრს ამკვიდრებდა, რომ ქართული ენა არასრულყოფილი იყო და რუსულად ლაპარაკობდა, თითქოს მის მსმენელს ამერიკასა და ევროპაში სიმძრევიც რუსულად ესიზმრებოდათ. სინამდვილეში კი, ამ მოქმედებით, იგი ბრეჟნევის და მის გარემოცვას ელაქუცებოდა. „მიშა მაგარია“ უფრო შორს წავიდა, მან ქართულთან ერთად რუსულიც დაიწყო და გარემომყოფი ინგლისურად უძერვდა სახიფათო კომში.

ნამეტანი გადავუხვიე მგონია და მეც გავიხლართე ამ უღმერთოთა მიერ ნაგებ ლაბორინთებში.

მაგრად გადავიტვირთე მარტვილში. მუშაობა, პოლიტიკა, მტკუნ-მართლის გარჩევა და ქვეყნის ჭორების მოსმენაში ვალამ-ვათენე და ბოლოს გადავწყვიტე სამეგრელოს დედაქალაქს ვმწვენი და იქ მაინც დავისვენებ-მეთქი. მაინტერესებდა, რა მოხდა ზუგდიდში, საქართველოს პარტიარქის, უწმინდესის და უნეტარესის

ილია მეორის ჩასვლისას და რატომ ასე გათანასწორდა „ცოდვა და მადლი?!“

სხვა რა დავარქვათ ზოგიერთ, არც თუ ღირსეულთა მაღალი რეგალიებით დაჯილდოებას?

„დაჯილდოება“ ვთქვი და, არ შეიძლება, ეღუარდ შევარდნაძე არ გაგახსენდეს, როცა ეს მართლა „უხსენებელი“ ჯერ კლავდა მის მსხვერპლს, შემდეგ კი ვერაინ ასწრებდა ჭორისუფალთან სამომარზე მისვლას. მისი შეილობილი „მიშა მაგარია“ და მისი მთავრობა უფრო შორს წავიდა – ისინი მსხვერპლსაც კლავენ, ჭორისუფალსაც უსამძიმრებენ და დაქირავებულ მკვლევებსაც არ ივიწყებენ – ეკლესიას აიძულებენ შეიფაროს ისინი და საგანგებო შემთხვევებში კაცისმკვლელთა მფარველი, მაღალი ღირსების სასულიერო ორდენით დააჯილდოვოს კიდევ..

მე კარგად ვიცი, საკუთარი, ან სხვისი ინიციატივით, გამონდებთან უწიფრობის ქრისტიანები და ჭკუის სწავლებას დამიწყებენ – „ნუ განიკითხავო!“

თავად კი არც განიკითხავს ერდებიან და არც ქვეყნის სულიერი მოძღვრის სახელისა და ღირსების განქიქებას. მართლაც უმწიფარი და უხნო ძლოკვი, ერთი გამოსოროსებული თუა თუთბერიძე რომ პარტიარქის ლანძღვას შეუდგება, იმ ქვეყანას ღმერთი სასჯელს და განსაცდელს როგორ გამოუღვეს?!

ზუგდიდში ჩასულს, ომბოკიდებული, ოპოზიციის „გაღიებ“ დამხვედა თავისუფლების „ბულვარში“, რომლებსაც შიგნით მჯდომთა გარდა პარტიეს არავინ სცემს..

წერილის დასაწყისში „სამეგრელო – საქართველოს ხერხემალი ვახსენე“.. ხაი-შიდან ანაკლიამდე ენგურის ხეობა ჩამოვიარე. სადაც კი გავეჩრდი, მოსახლეობასთან ურთიერთობა არ მომკლებია. სახლებში მეპატიებოდნენ.. ერთადერთი, რაზეც ვერცერთი ვერ დავითანხმე – მართმსაჯულებასა და მთავრობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბარი იყო..

„რაც გეჭირს ის უბედურებაც გვეყოფა, ახალიც რომ არ დავიმატოთ!“

მართლაც ხერხემალივით გასდევს ენგური სამეგრელოს და აფხაზეთს. ოდითგან საგანგებო სამხადისით რომ ელოდა ორივე ნაპირთან მომდგარ სტუმარს. ნეკნებდამსხვერველი მეჩვენა ორივე მხარეს „ენგური – სამეგრელო-აფხაზეთის ხერხემალი“, ისევე როგორც, არაქათაწყვეტილი „სამეგრელო – საქართველოს ხერხემალი“..

„...სათქმელად ნუ გამოიყენებთ, მაგრამ იცოდეთ – რაც გეჭირს, ეს უბედურება, საქართველოს ყოფილმა და დღევანდელმა მთავრობებმა და მათმა კაცისმკვლელმა მართმსაჯულებმა დაგემართეს, დღეს რომ წმინდა გიორგის ორდენით აჯილდოებენო!“ – მომაყოლა, მისი თქმით – „წუთისოფელგალეულმა“ მოხუცმა, სახელი და გვარის გამჟღავნება მაინც რომ არ ისურვა..

ზუგდიდს ნამდვილად ეტეობა მზრუნველი ხელი, ისევე როგორც მარტვილის მონასტერს და მუხუშუმს, სადაც სტუმრის მიყვანა არ დაგეხარება. მაგრამ, ახლაც ყურში ჩამესმის იმავე „წუთისოფელგალეული“ მოხუცის დარდმორეული სიტყვები – „რადაც მართლა კეთდება შეილო, თუკი ხვალ, ჩვენი ქვეყნის ავისმსურველი, თვითონვე არ მოაოხრებინეს აქაურბაო!“

დამშვიდობებისას ნაღვლიანი თვალეებით შემომხედა და რჩევაც გამომაყოლა – „ქვეყნის მოყვარული კაცი ჩანხარ, ამათ ნუ გაუთამამდები, ისეთ თვალეში იყურებიან, შენ კი არა, საკუთარ მამას არ დაინდობენ, თუ დასჭირდათო!“

დავით ქობალია



ქართულა ეთნოსა კულტურულ-ისტორიული რაობა დაკარგა

იყო დრო, როდესაც საქართველო ლიდერობდა კავკასიაში, დღეს კი დერეფნობითაც ვეკმაყოფილებით

ჩვენი სტუმარია პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ყოფილი ელჩი დსთ-ში ზურაბ ხონელიძე.

ბატონო ზურაბ, ბოლო დროს, განსაკუთრებით კი თბილის-მდგომარეობის შეხვედრის წინ, ზოგიერთი ექსპერტი საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიას ხედავთ. ზუსტი თარიღიც სახელდება, თურმე ომი 6 ივლისს უნდა დაწყებულიყო. ამ მიმართულებით სახელისუფლებო პროპაგანდისტული მანქანაც მთელი დაცვირთვით მუშაობდა და მოსახლეობაში არნახულ პანიკას თესავდა. მიხედავად სააკაშვილი ომის თავიდან აცილებას საქართველოსადმი ამერიკის შეერთებული შტატების არნახული მხარდაჭერით ხსნის. იქნებ, განმარტოთ, რას ვერდნობდა უშიშროების საბჭოს ამასწინანდელ სხდომაზე სააკაშვილის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი?

უპირველეს ყოვლისა, თქვენს გახეთს ვულოცავ ხელმეორედ დაბადებას! ქართულ პრესას შესამჩნევად აკლდა ანალიტიკური ხასიათის გამოცემები და მიხარია, რომ, ბოლოს და ბოლოს, ეს თქვენი გახეთის მეშვეობითაც განხორციელდა. ახლა, რაც შეეხება თქვენს კითხვას: დაზვერვის ინფორმაციას ნამდვილად არ ვფლობ, მაგრამ დაკვირვებისა და ელემენტარული ლოგიკის საფუძველზე ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ 6 ივლისს საქართველოზე არავითარი თავდასხმა არ განხორციელდებოდა. გლობალური და კონკრეტულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანასთან მეორე სამხედრო დაპირისპირება არც რუსეთისთვის არის მომგებიანი და არც – საქართველოსთვის. რაც შეეხება ამერიკას, დღეს უკვე დადასტურებული ფაქტია, რომ საქართველოს გამო ეს სახელმწიფოები ერთმანეთს არ დაუპირისპირდებიან. შეერთებული შტატები ვერაფერს და ავღანეთის პრობლემებშია ჩაფლული. ასეთ კრიტიკულ ვითარებაში ეს ქვეყნები ყოველთვის პოულობდნენ საერთო ენას. მაგალითად მსგავსი დამთმობებისა და ურთიერთშეთანხმებების ახალი ეტაპი იწყება, ამიტომ თბილის-მდგომარეობის შეხვედრა მოულოდნელი შედეგით არც დასრულდებულა.

მაგრამ ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორს ხედავენ ისინი ხელისუფლების და როგორ ჩამოაყალიბებენ თანაარსებობის ახალ პრინციპებს. საგულისხმოა, რომ ამ შეხვედრისას ჩვენ უკვე დაინახეთ მათი მწკობრი ლოგიკა და საკუთარი სახელმწიფო ინტერესების ერთგულება. და მაინც, მთავარია არა მხოლოდ ის, თუ რაზე საუბრობდნენ ობამა და მედვედევნი, არამედ – რაზე შეთანხმდნენ და რა შედეგებამდე მივიდნენ ისინი. ეს შედეგები კი უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში გახდება ნათელი. დეტალებიც უფრო მკაფიოდ მაშინ გამოვლავლდება, როცა საქართველოში რომელიმე ჩინოსანი ჩამოვა და მიხედავს სააკაშვილს კიდევ ერთ გასაუბრებას მოუწყობს. მანამდე კი ყველა შეფასება მაინც ზედპირული იქნება. აქვე მინდა ხაზი გავესვა რუსულ-ამერიკული შეხვედრის, ერთი მხრივ, საერთაშორისო მნიშვნელობას და, მეორე მხრივ, მის მნიშვნელობას საქართველოსთან მიმართ-

ობაში. გამოიკვეთა, რომ: 1. საქართველო თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში „განაჩენს“ კვლავ სხვა ქვეყნებიდან ელოდება; 2. საქართველოსადმი რუსეთის და ამერიკის დამოკიდებულების არსი (ცალ-ცალკე აღებული) ჯერჯერობით არ შეცვლილა; 3. საქართველოსთან მიმართებაში აშშ და რუსეთის ინტერესები კიდევ დიდხანს არ დაემთხვევა ერთმანეთს. უფრო მეტიც: დაპირისპირების ეპიცენტრმა შეიძლება სამხრეთ კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში გადმოინაცვლოს, რაც ჩვენთვის, რბილად რომ ვთქვათ, სახარბიელო შედეგის მომტანი ნამდვილად არ იქნება.

რუსულ-ამერიკულ დაპირისპირებას გულისხმობთ?

ის რთული და წინააღმდეგობრივი გარემო, რომელშიც საქართველო ისტორიულად იმყოფება, მხოლოდ რუსულ-ამერიკული დაპირისპირებით არ ამოიწურება. ჩვენი სამშობლო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ისლამური სამყაროს უშუალო მოსაზღვრეა, ანუ ითანე საბანისდის სიტყვებით რომ ვთქვათ, არის „ყურე ქუეყანისა“ (იგულისხმება ქრისტიანული სარწმუნოების უკიდურესი ნიჯნა). ასეთ შემთხვევაში დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმა შეიძლება, ისრაელის მსგავსად ისლამური ქვეყნების სამიზნედ გვაქციოს. იყო დრო, როდესაც ქართული სახელმწიფო ლიდერის ფუნქციას ასრულებდა მთელს კავკასიაში. ვითარების შეცვლასთან ერთად ჩვენი ეს ფუნქცია თანდათან კნინდებოდა. დღეს კი იმიტაც კმაყოფილი ვართ, რომ მილსადენის გამტარი დერეფანი გაგვიხდა და უმადლო კულტურულ ფასეულობებთან ზიარებულ ხალხს მარტოოდენ მოსამსახურის, სხვათა სურვილების უსიტყვო აღმსრულებლის მოკრძალებული უფლება შემოგვრჩა, ე.ი. ჯამთასელის კვლობაზე როგორც ქვეყანამ, ისე მის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ქართულმა ეთნოსმა აშკარად დაკარგა თავისი კულტურულ-ისტორიული რაობა. დაგაკვირდეთ ერთ, თითქოსდა „უმნიშვნელო დეტალს“, რომელიც კარგად გამოხატავს ამ მოვლენის დრამატულ ხასიათს: ქართველი დედა, რომელიც, როგორც ილია იტყვოდა, „უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა“, დღეს თავისი ამ მაღალი ფუნქციის შესრულების ნაცვლად უცხოეთშია გადახვეწილი და „სხვისი შვილების“ მსახურად გვევლინება. ამას ღამის საყოველთაო ხასიათი რომ არ მივღო, ყურადღებას ნამდვილად არ გავამახვილებდი. დამერწმუნეთ, არც სენტიმენტალიზმი მაღაპარაკებს, ქართველი ქალის ასეთი მდგომარეობა მისი ფუნქციის, გნებავთ საკრალური მისიის, ისეთივე სავალალო დაკნინებაა, როგორც მიუღი საქართველოსი. ჩვენ ქვედ უნდა მოვიხაროთ ამ ქალბატონების წინაშე, მაგრამ მარჩენადის ფუნქციით მის ხელთნურ აღჭურვას სიხარულის ტაშს არ უნდა ვუკრავდეთ. იგივე უნდა ვთქვათ საქართველოს, როგორც ქვეყნის, ახლანდელ მდგომარეობაზე: კარგია, რომ მიღსადენი ასე თუ ისე ხარისს გვიმრავლებს, მაგრამ არც ამ ფუნქციის შექენა უნდა გამოვაცხადოთ ქართული სახელმწიფოს ისტორიულ მინაპორად. მე აქ იმის თქმა მინდა, რომ ადამიანის ბედი მისი ქვეყნის ბედის თანაზიარია. შეუძლებელია, ქვეყანაში მოსახლეობის დიდი ნაწილი უბედური იყოს, ქვეყანა კი – ბედნიერი, რო-

გორც ამას დღევანდამ გვიმეორებენ ჩვენი ხელისუფალნი.

თქვენ ქართულ საზოგადოებას უკვე წარუდგინეთ ერთიანი სამხრეთ კავკასიური პროექტი, რომელმაც სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ცნობილია ისიც, რომ თქვენს პროექტს გულისხმიერად გამოეხმაურა მისი უწინდესობა, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II. მან, ასევე, დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთში...

ალბათ, დამეთანხმებით, რომ ერთ საგაზეთო ინტერვიუში, უბრალოდ, შეუძლებელია სპეციფიკური ხასიათის რომელიმე გლობალური პროექტის გაანალიზება, ამიტომ დაწვრილებითი საუბრისაგან თავს შევიკავებ. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ჩვენს პროექტში სამხრეთ კავკასიის რეგიონში თანამშრომლობის ახალი სამშვიდობო პლატფორმაა წარმოდგენილი.

აშშ და რუსეთმა საქართველოს უკვე მიუჩინეს გარკვეული ადგილი თავიანთ ინტერესთა სფეროებში. თქვენგული მიდგომა რამდენად რუსულია, ან ამერიკული, ან შესაძლებელია, თუ არა მათი ინტერესების დაბალანსება?

ყოველთვის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი მკაცრი დეფინიციებისა, მუდმივი ყოყმანისა და ორჭოფობისა – ან ამერიკა, ან რუსეთი; „არც ამერიკა, არც რუსეთი“ და ა.შ. უნდა ითქვას, რომ ასეთი მიდგომა პოლიტიკური სახელმწიფოს უქონლობითაა გამოწვეული. გავისხენოთ თვით ამერიკის ერთ-ერთი პრეზიდენტის, ერთგვარი ისტორიული „თვითმხილველის“ გამოხატვითი სენტენცია: „თუ ამერიკული სისტემა არ იქცა მსოფლიო სისტემად, აშშ, როგორც ქვეყანა, დაიღუპება“.

ამ სიტყვების წარმოთქმისას მსოფლიოში უკვე დაწვრილებული იყო ომის შემდგომი პერიოდისთვის დამახასიათებელი სწრაფვა თანაარსებობისკენ. დღეს კი, როდესაც დედამიწაზე ბრძოლა არსებობისთვის მიმდინარეობს, საქართველო მსგავსი შინაარსის, ოღონდ განსხვავებული მასშტაბის ამოცანის წინაშე აღმოჩნდა. კერძოდ, თუ საქართველომ ვერ შეძლო თავისი შიდაპრობლემების საერთო რეგიონალურ კონტექსტში მოქცევა, მას, ცალკე აღებულს, შესაძლოა, მართლაც დაუდგეს ყოფნა-არყოფნის საათი. გარდა ამისა, არსებობს დროის პრობლემა, რომელიც სხვადასხვა განზომილებაში უნდა განვიხილოთ.

დავაკონკრეტოთ, რას გულისხმობს დროის პრობლემა?

საერთოდ, არსებობს დროის მრავალმხრივი გააზრება. მაგალითად, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავდებიან ფიზიკური და ფსიქოლოგიური დროები, რომლებიც ძალზე ხშირად საერთოდ განსხვავდებიან კალენდარული დროის განზომილებიდან. სულ სხვაა დროის ბიბლიური გააზრება („ათასი წელი ვითარცა წამი“). ქვეყნებიც და ხალხებიც დროის სხვადასხვა რიტმში ცხოვრობენ. დიდ სახელმწიფოს – შეერთებულ შტატებს, მიუხედავად სასტიკად ანქარებული ცხოვრებისეული ტემპისა, დრო ისეთი სისწრაფით სულაც არ აახლოვებს კატასტროფასთან, როგორც, მაგალითად, პალესტინელ არაბებს ან ვულკანურ ზონაში მოქცეულ ვესუველებს. დროის შეგრძნება ქართველებისთვისაც

მეტად ინტენსიურია, იგი ჩვენს სახარგებლოდ არ გადის. ამას შინაგანად, გმოციურად გრძობს ქართული მოსახლეობა, ამიტომ დღეს ჩვენი უმთავრესი ამოცანა უნდა გახდეს ზუსტად შეთანხმებული მოქმედება სამხრეთ კავკასიის სივრცეში არსებულ პრობლემათა გადასაჭრელად. ამით ჩვენ კიდევ უფრო დავცილდებით კატასტროფულად მოახლოებულ კატაკლიზმებს და შევძლებთ ჯერ მათ გადავადებას, ხოლო შემდგომ მთლიანად ავიცილებთ ამ საფრთხეს. ეს კი, როგორც იტყვიან, დროის საქმეა. ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია, ჩვენდა სასიკეთოდ შემოვატრიალოთ დრო. დღეს მსოფლიოს უფუნქციო, საკუთარი ინტერესების არ მქონე ქვეყნებისათვის „ოქროს მილიარდი“-სნაირი მრავალი პროგრამა აქვს. ეს მოიტანა არა თანამედროვე მსოფლიოს რაიმე კაპრიზმა, არამედ თანამედროვე მსოფლიოს ცხოვრების წესმა! ადრე თუ ბრძოლა თანაარსებობისათვის მიმდინარეობდა, დღეს ბრძოლა არსებობისთვის გრძელდება და ეს კონკრეტული ქვეყნების კონკრეტული ინტერესებიდან გამომდინარე ხდება! არჩევანის გაკეთება, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, ანუ ჩვენმა ქვეყანამ სასწრაფოდ უნდა დაიწყო მოქმედება იმისათვის, რომ თავისი სახელმწიფო პოლიტიკა მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ ვითარებას მორგოს და სახელმწიფო ინტერესები მხოლოდ ჯიბის პოლიტიკას არ გადააყოლოს, როგორც ეს დღეს ხდება! ამჟამად მსოფლიოში იკვეთება ახალი მსოფლიო არქიტექტურის კონტურები, მაგრამ საქართველო თავისი დვითი ბოძებული ძირითადი ფუნქციებიდან ამოვარდნილი, ხან დერეფნობას აყენებს პრიორიტეტულად, ხან ტურიზმს და ხან რას და ხან რას. არადა, ჩვენს ქვეყანას, სამხრეთ კავკასიის ერთიანობის შემთხვევაში, დიდი პერსპექტივა აქვს, „მშვიდობის კუნძული“, ცივილიზაციათა და კულტურათა შორის დიალოგის ადგილი რომ გახდეს და ა.შ. არსებობს ასეთი ცნება: ერის მესხიერება, რომელიც მუდამ მგრძობობარეა და შეხებისთანავე იღვიძებს, მაგრამ ისიც მნიშვნელოვანია, თუ ვინ არა როგორი ხელეობი ეხება ამ ძირფას საუნჯეს! დღეს აუცილებელია, ხელისუფლებაში ეროვნულად მოაზროვნე ადამიანები მოვიდნენ, რომლებიც საქართველოს თავის ისტორიულ ფუნქციას დაუბრუნებენ და მსოფლიო ინტერესებში ჩვენი ქვეყნის ინტერესებს სათანადო ადგილს მიუჩენენ! ალბათ, ლოგიკური იქნება შეკითხვა: გვყავს კი ჩვენ ჭეშმარიტად ეროვნულად მოაზროვნე ძალები? – გვყავს, ბატონო, ოღონდ მათ დანახვა და გვერდით დადგომა სჭირდებათ!

თქვენ დიდი ხნის განმავლობაში დსთ ელჩი იყავით, ამიტომ ასეთი კითხვა მინდა, დაგისვით: ნუთუ სააკაშვილს და მის ხელისუფლებას არ შესწევს უნარი, რადიკალურად შეცვალოს ვითარება და ქვეყნის უმთავრესი ინტერესები არ გადააყოლოს პირად ქვენა გრძობებს?

საქმე იმაშია, რომ ამ ხელისუფლებას არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის გარეთ სათანადო ლეგიტიმაციის ხარისხი აღარ გააჩნია, უფრო სწორად კი: მათი ლეგიტიმაცია ძალიან დაბალია! თავშიც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ცვლილებების განხორციელებას მხოლოდ ეროვნულად მოაზროვნე ხელისუფლება შეძლებს.

ზურაბ ხონელიძე:

ვის ებოდიშება ბრიტანეთის პრემიერი?

დიდი ბრიტანეთის პრემიერმა გორდონ ბრაუნმა სახალხოდ მოიბოდიშა მეორე მსოფლიო ომის წლებში „Enigma“-ს სერიის გერმანული გამშფორავი მანქანების საიდუმლოს ამომხსნელი ბრიტანელი მათემატიკოსის ალან ტიურინგის მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულების გამო. 1993 წლის სექტემბერში ტიურინგმა ბრიტანელი დემოფრატორების ცენტრში დაიწყო მუშაობა და მალე ამავე ცენტრს სათავეში ჩაუდგა. ისტორიკოსთა აზრით,

ამ ცენტრის მუშაობამ ომის დასრულება დააჩქარა და უამრავი სიცოცხლე გადაარჩინა. თავად ტიურინგის ბედი კი მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ტრაგიკულად წარმოართა – ჯერ არაკეთილსამიეროდ გამოცხადდა, შემდეგ კი, 1952 წელს, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის (იმ წლების ბრიტანეთში ეს სისხლის სამართლის დანაშაულებად ითვლებოდა) ბრალდებით გასამართლდა. „მკურნალობის“ მიზნით მის მიმართ ქიმიური კასტრაციის მეთოდი გამოიყენეს. ორი წლის შემდეგ 41 წლის ტიურინგმა სიცოცხლე თვითმკვლელობით ისე დაასრულა, რომ ფაშიზმზე გამარჯვების საქმეში შეტანილი წვლილისთვის მისთვის მადლობაც კი არავის უთქვამს. შეცდომა მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ გამოსწორდა – მის სახლზე მემორიალური დაფა დაიკადა, 2007 წელს

კი მისი ცენტრის, ახლა მუხუშვად გადაკეთებული ბლერ-ჩლი-პარკის მამულების ტერიტორიაზე კი მისი ქანდაკება დაიდგა. მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფმა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს გორდონ ბრაუნს მიმართეს, გამოეწვიონ ბრიტანელი ხელისუფლების ისტორიული უსამართლობა. ამ მიმართვას კი შედეგად მოჰყვა ბრაუნის განცხადება, რომელშიც ის ამბობს: „მისტერ ტიურინგის მიმართ იმ დროის კანონები მოქმედებდნენ და დროს უკან ვერ დავაბრუნებთ, მაგრამ მას, ცხადია, უკიდურესად უსამართლოდ მოექცნენ. ბრიტანული ხელისუფლებისა და ყველა იმ ადამიანის სახელით, რომელიც ახლა თავისუფალ მსოფლიოში ალანის მუშაობის შედეგად ცხოვრობს, სიამაყით ვაცხადებ: ჩვენ ბოდიშს გიხდით!“

ირინა გოგოსაშვილი

დევნილობის 19 წელი და ტრიბუნის ქვეშ, ნესტიან ოთახში, გატარებული ორსულობა

ბასილიძეების, ბალახაძეებისა და შერ-აზადაშვილების ორი ოჯახი გორის სტადიონის მოუწესრიგებელი ტრიბუნის ქვეშ უკვე 19 წელია ცხოვრობს. რატომ არ მისცა დღემდე ხელისუფლებამ აფხაზეთიდან დევნილებს ნორმალური თავშესაფარი და რა პირობებში უწევს ბასილიძეების ოჯახს ჩვილის გაზრდა?

ჩამონგრეული ჭერი, ორი საწოლი, ძველი მაგიდა, სამი ფეხმობილი სკამი, ტანსაცმლის და ჭურჭლის ძველებური კარავები – სულ ეს არის ბასილიძეების 6-სულიანი ოჯახის ქონება. წვიმისას მათთანაც ისე წვიმს, როგორც გარეთ... ოჯახი უკვე 19 წელია ასე ცხოვრობს. დევნილებს წლების შემდეგ გორში იგივეს განცდათ თუ მოუწევდათ, ვერ წარმოედგინათ. ყველაზე სამწუხარო კი მათ ამბავში ისაა, რომ დღემდე საკუთარი ჭერი არ აქვთ.

ერთ ოთახში ცხოვრობს თინა შერაზადაშვილის 7-სულიანი ოჯახიც; სონა შერაზადაშვილსა და ხვინა ბალახაძეს შედარებით გაუმართლათ – მათ ოჯახის წევრები არ ჰყავთ და მარტო ცხოვრება „ფუფუნება“... დევნილები ამბობენ, რომ ბევრჯერ მიმართეს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, გორის მუნიციპალიტეტსაც, მაგრამ პასუხი არ მიუღიათ.

„კანალიზაცია ფუჭდება ყველაზე ხშირად. აღრე რამდენჯერმე იყენებ მოსულები და გააკეთეს, თუცა ახლა გვითხრეს, რომ აღარ მოვლენ და აღარ გააკეთებენ მომეკლებულ სისტემას“, – ამბობს ელისო ბასილიძე.

იმის გამო, რომ მიღები დახეივანი, საცხორებელი ოთახებშიც ნესტია. ხეობა ამოსული იმ ადგილას, რომელსაც მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს საპირფარეო. ეს „დაწესებული“ ანტიანიტარის კერაა და თუ მალე არ მიუხედავ, შესაძლოა, რაიმე დაავადების გავრცელების კერაც იქცეს.

დევნილებს გაზი უკვე რამდენიმე წელია არ აქვთ. როგორც ისინი ამბობენ, სტადიონს, ელექტროენერჯია და ბუნებრივი აირი გადაუხდელია გამო ჩაუჭრეს, შუქის გამოყვანა ბევრი წვადლების შემდეგ, ისევე შეძლეს, ხამთარში კი წვადებით ნაყიდი შეშით თბებიან.

ოჯახში არააინ მუშაობს. ქალბატონი ელისო ომაძე ავტოსატრანსპორტო კოლონაში (ატკეაში) მუშაობდა. ახლა ის უმუშევარია იმიტომ, რომ სოფლებზე – კეხვი, დისევი და ერედვი, სადაც მათი სამსახური ავტობუსებს გაზავნა – დღეს ქართულ მხარეს კონტროლი დაკარგული აქვს.

ელისო ბასილიძე: **„ერთი პერიოდი, ქარელის გამგებლობის დროს, ჩვენს გაყრას აპირებდნენ სტადიონიდან. შემდეგ სამინისტროდან ვიღაცამ სიტყვა შეგაწა და დაგვტოვეს. იმის შემდეგ ჩვენი აქედან განსახლება აღარ უცდიათ“**.

დევნილებისთვის ქვეწარმავლები უცხო არ არის. ბასილიძეებმა ზაფხულში ოთახის შესასვლელთან გველი მოკლეს, ბავაყების ყიყინს კი სახლში ნებისმიერ დროს გაიგონებთ. ლტოლვილები დღესაც დაიწვევული ჰყავს ხელისუფლებას. ისინი ამბობენ, რომ სუბელიანმა მათი ამბავი იცის, თუმცა მათ დასახმარებლად რომ არააინ არაფერს აკეთებს, ფაქტია.

ნესტის გამო ბასილიძეების რძალს – სოფიკო კასრაძეს ორსულობის პერიოდში პლევრიტი განუვითარდა, რის გამოც რთული ოპერაცია გაუკეთდა. ტუბერკულოზით არიან დაავადებული შერაზადაშვილების ოჯახის წევრებიც. ერთადერთი დახმარება, რაც მათ აქვთ სახელმწიფოსგან, სამედიცინო დაზღვევის პოლისია. სწორედ ამ პოლისის საშუალებით მოახერხა ბასილიძეების რძალმა ოპერაციის გაკეთება, თორემ მწველი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რით დასრულდებოდა ფეხმობი ქალის ავადმყოფობა. პლევრიტის გარდა, სოფიკო კასრაძეს ჩივილიც აქვს, რაც ხანგრძლივ მკურნალობასა და დიდ თანხებთან არის დაკავშირებული.

ამდენ უბედურებასთან ერთად, მას არც დევნილობის სტატუსი აქვს მინიჭებული. სოფო ანაბეთიდან სოფელ ქვემო ხეთში, მამიდასთან იყო გაგზავნილი აღსაზრდელად, ამიტომ ლტოლვილის სტატუსს არ ანიჭებენ.

ახლა აფხაზეთიდან დევნილებს დააპირდნენ, რომ რუსული ინტერვენციის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის აშენებულ ბინებში გადაიყვანენ, თუმცა **„გვეუბნებიან, რომ ჭალაში გადავიყვანონ, საბავშვო ბაღში, მაგრამ არ მჯერა... ვიდრე ხელში გასაღებს არ დავიჭერ, სიტყვებს აღარ ვენდობი“**, – ამბობს ელისო ბასილიძე.

მაგდა კლდიაშვილი

ხელისუფლებამ ბეჭდური მედიის დატერორების ახალი სქემა დაამუშავა

საქართველოში სიტყვის თავისუფლების ხარისხი ბეჭდურ მედიაში ბევრად აღემატება სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნების მაჩვენებელს და შესაძლოა ლიდერის პოზიციაც მრავალი წლის განმავლობაში სწორედ ამიტომ შეინარჩუნა!

სხვათა შორის, მსოფლიო მაჩვენებლებითაც „არა გვიშავს“ და, თუ შარშანდელ მონაცემებსაც მოვიშველიებთ, მე-17-ე ადგილიც დამსახურებულად მოგვიჩინეს 143 ქვეყანას შორის!

ქართული გაზეთები რომ არა, შესაძლოა, მოსახლეობას არ სცოდნოდა, დაგებული ასფალტებისა და „გამწვანებული ქუჩა-კორდების“ მიღმა რა სიბინძურეს მალავდა სააკაშვილის ხელისუფლება, როგორი მონდომებით ანადგურებდა განათლებას, მეცნიერებას, მედიცინას, ზოგადად, ქართულ სახელმწიფოებრიობას და როგორი გამეტებით უბიძგებს დღესაც იმ წარსულში დასაბრუნებლად, როცა თავისუფალი სიტყვის გამო აღამიანებს **„გულაგებში“** ერეკებოდნენ; აქოდა, როგორ გაბედვით ჩვენი **„დედაპარტიის“**, მამა ლენინისა და სხვათა აუცი და კრიტიკა!

სწორედ ქართულმა ბეჭდურმა მედიამ შეძლო მანკიერებათა სააშკარაოზე დროულად გამოტანა და სააკაშვილის **„გუნდად“** წოდებულ სევათა მიერ ამ 6 წლის განმავლობაში ჩადენილი მრავალი სახელმწიფო დანაშაულის განსჯის საგნად ქცევა; დამერწმუნეთ, უფრო მეტსაც **„გაბრჯობოდნენ“**, რომ არა ჩვენ – ქართული ბეჭდური მედიის ჟურნალისტები (რა თქმა უნდა, ვგულისხმობ მიუკერძოებელ, მოუსყიდველ ჟურნალისტებს, თორემ მკითხველმა კარგად უწყის, ზოგიერთი სახელმწიფო დოტაციაზე მყოფი გაზეთი რა ხარისხის ინფორმაციით კვებავს მოსახლეობას)!

„ვიდრე მე პრეზიდენტი ვარ, ჟურნალისტებს არავის დაგაჩაგვრინებ, ჩვენითვის დემოკრატია და სიტყვის თავისუფლების არეალი გაცილებით მეტია, ვიდრე, ვთქვათ... ყველაფერი, რაც კი კეთდება ქვეყანაში! ნურას

არასტაბილური, უკრაინაში კი გაწვევების სურვილიც კი არაა ცალსახა. ამავე დროს შეინიშნება ევროპასთან დაახლოების სურვილი, ამიტომ ევროკავშირმა **„უნდა განამტკიცოს უკრაინასთან კავშირი და შეარბილოს რუსეთთან მისი დაძაბული ურთიერთობა, რაც განსაკუთრებით გაზის სფეროში ვლინდება... უნდა გაგაცნობიეროთ რისკები, რომელთა წინაშეც ევროპა ენერგეტიკული დამოკიდებულების გამო დგას და ამ პერსპექტივაში ახალი ურთიერთობების ფორმირება უნდა მოვახდინოთ ისეთ ქვეყნებთან, როგორც რუსეთი და ალიორია“**, – ბრძანა სახელმწიფო მდივანმა.

ენერჯის ტრანზიტზე საუბრისას ლელუშმა, ასევე, აღნიშნა, რომ გაზის საკითხში თურქეთი ძალზე ჭკვიანურ თამაშს თამაშობს, ერთი მხრივ, რუსეთთან, მეორე მხრივ – ევროპელებთან. მისი თქმით, თურქეთი შუამავალია ევროპასა და აღმოსავლეთს შორის, მაგრამ საკითხავია, შეძლებს კი შუამავალი, ოჯახის წევრი გახდეს? ლელუშის აზრით, თურქეთის ევროპასთან ინტეგრაციის ალტერნატიული გზა უნდა გამოინახოს.

რ. შალვაშვილი

და იქნებ ცოტა მეტი რაოდენობით გამოავხაზოთო.

ცნობილია, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ რამდენიმე რეიონში ათობით საგაზეთო ჯისური უკვე აიღო და შესაძლოა, ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული ექსკლუზიური მასალის ერთ-ერთი პრეზიდენტი სწორედ ამ მუხანათობიდან იღებს სათავეს!

ძნელი მისახვედრი არც ისაა, საგაზეთო ტირაჟის შემცირება რა დარტყმის ქვეშ დააყენებს ისედაც კაპიტლებზე და ენთუზიაზმზე მომუშავე ჟურნალისტებს, რომ არაფერი ვთქვათ მოსახლეობის მასშტაბურ ინფორმირებაზე, ადამიანებზე, რომლებიც პურის ფულს იკლბენ, ოღონდაც მართალი სიტყვა წაიკითხონ გაზეთის ფურცლებიდან, რადგან ტელევიზიების მეშვეობით რასაც იგებენ, სულ ტყუილია!

ხელისუფლება სილაში თავნარკულ სირაქლემას ჰგავს, რომელიც ადგილიდან არ იძვრის და ამიტომაც უკანალი შემაშფოთებლად გაუსუქდა!

ბეჭდურ მედიაზე მარყუჟის მოჭერამ, ტერორმა და აბუჩად ადგება კი, მერწმუნეთ, მსოფლიოს ვერც ერთ ქვეყანაში „სასურველი“ შედეგი ვერ გამოიღო, პირიქით კი ბევრჯერ მომხდარა – ასეთი სირაქლემებისათვის ჟურნალისტებს ისეთი ჭიტლაჟი ამოუკრავთ, ჰააგა და ოსვენციმი სანატრებელი გახდომიან!

ფრთხილად, სააკაშვილო, შენმა წინამორბედებმაც მედიასთან ბრძოლაში წაიმტვირეს კისერი და, ჩემი თუ არ გჯერა, გადახედე მაშინდელ პრესას და დარწმუნდები, რომ მართალი ვარ!

დაიხ, ქართული გაზეთების შეფარული ტერორი გახდება ის ბოლო ღურსმანი, რომელიც თქვენი გახრწილი და აყროლებული ხელისუფლების პოლიტიკურ კუბოსზე დაეჭვება, მიწა მიყვრება და საფლავზეც თქვენეული ვადემოკრატიის შესაბამისი წარწერა გაუკეთდება: **პრესასთან დამარცხებულები!**

ირინე გოგოსაშვილი

რას ერჩოდა 82 წლის პენსიონერი იელოვას მოწმეებს?

გერმანიის ქალაქ ბილფელდში იელოვას მოწმეების შეკრებაზე ავტობატით შეიარაღებული 82 წლის ნიღბიანი პენსიონერი შევიარდა და ცეცხლის გახსნა სცადა. დარბაზში 81 ადამიანი იმყოფებოდა. თავდამსხმელს იარაღმა უმტყუნა. ხალხმა მომენტით ისარგებლა და ერთმა მოხერხებულმა იელოველმა უკანა კარიდან ყველა გააქცია. თავდამსხმელი, რომელმაც ერთი გასროლაც კი ვერ შეძლო, ასევე გაიქცა შენობიდან, და ეზოს მეორე მხარეს განერებულ თავისსავე მანქანაში ჩაჯდა.

მოგვიანებით პოლიციამ მის მანქანაში აღმოაჩინა სამი მჭიდი ვაზნებით, დანა და სამურაის ხმალი. არააინ იცის, რატომ გაიქცა დამნაშავე თავისი მანქანისკენ – იმიტომ, რომ იარაღი მოუწესრიგებინა, თუ იმიტომ, რომ გაქცევა მოეხერხებინა... ფაქტია, რომ შეკრების მონაწილე ორმა მამაკაცმა არც ერთის საშუალება მისცა და არც მეორის. ამასობაში შეკრების მონაწილეთა მიერვე გამოძახებული პოლიციაც მოვიდა და დამნაშავე დააკავა.

თავდამსხმელის სახელი არ გახმაურებულა. უცნობია მოტივიც, თუ რის გამო დაესხა თავს იელოვას მოწმეებს 82 წლის მოხუცი, მაგრამ გამოიძება მომხდართან დაკავშირებით უკვე დაწვეულია.

le-monde


პირი ლელუში: „საქართველოსა და უკრაინის მიმართულებით ნატოს გაფართოების ინიცირება შეცდომა იყო“

ევროპის საკითხებში საფრანგეთის სახელმწიფო მდივნის პირი ლელუშის განცხადებით, რუსეთთან (როგორც ჩინეთთან) ურთიერთობა ხაზს უსვამს ევროპის ერთიანი გეოპოლიტიკური ხედვისა და მსოფლიოში მისი ადგილის განსაზღვრის აუცილებლობას. ჯერჯერობით ასეთი ერთიანი ხედავ არ არსებობს, **„ხესახელმწიფოები სარგებლობენ ევროპული უთანხმოებებით და ევროპის ქვეყნებს ერთმანეთის საწინააღმდეგოდ განაწყობენ“**.

„ჩვენ შევისწავლით მედეგების წინადადებას ერთობლივი უსაფრთხოების სივრცის შექმნისა და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. ჩვენ ანგარიშს ვუწევთ იმ ფაქტს, რომ რუსეთმა ცივი ომის შემდგომ დამცირება და უდიდესი გეოგრაფიული ცვლილებები განიცადა. რუსეთის საზღვარი 2000 კილომეტრზე მეტით შემცირდა. საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასული ქვეყნები ევროკავშირსა და ნატოში შევიდნენ“, – ბრძანა ლელუშმა.

ის დარწმუნებულია, რომ საქართველოსა და უკრაინის მიმართულებით ნატოს გაფართოების ინიცირება შეცდომა იყო. საქართველოში ნატოში გაწევრიანების სურვილთან დაკავშირებით კონსენსუსი მიღწეულია, მაგრამ სტრატეგიული სიტუაცია –

სამეგრელო და სვანეთი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბორჯნიანის სამსახურებრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცლარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დელოვალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შედეგების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.

ბორჯნიანის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

კორნელი ბორჯნიანი

სიმონინი ხელახლა დაეკითხა; მოხუცნი ისევ თავისას გაიძახიან და უკვირსთ, სარდალმა რად ინება და არ დაგვიჯერო: **“სიმონინი რომ გვეკითხება, იმის მეტი რა არის ჩვენსკენათ”.**

მაშინ თავადმა გადასწყვიტა, ჩემმა სახელდასხელო თარჯიმანმა, ალბათ, ჯერ კარგად არ იცის ოსურით და მიმართა თარჯიმანს **ex professo**.

ოსები პირველის წერით პოვიცავენ, კალია თავის დღეში არა ყოფილა ჩვენსკენათ. თავადს ძალიან გაეხარდა ამ პასუხზე და დიმილით იკითხა, სიმონინი რაღას ეუბნებოდა ამათორ. აღმოჩნდა, რომ სიმონინს კალიის მაგივრად ბელურების შესახებ უკითხავს, და ბელურები ხომ, როგორც ყველგან, აქაც აუარებელი იყო. ეს რომ გაიგეს, ყველაში გადაიხარხარა.

– არა, ჩემო ძმაო, – უთხრა ვორონცოვმა სიმონინს, – შენ ჯერ კიდევ კარგად ვერ გისწავლია ოსური. ისევ ისწავლე, – ეუბნებოდა თავადი და გულკეთილად მხრებზე ხელს უტატუნებდა: – ამ მარცხისა ნუ შეგრცხებება, უშვეტომოდ ვერაფერს ისწავლის კაცი.

ხოლო ეს შეცდომა უკანასკნელი არა ყოფილა. რაღა უნდა ეთქვას ვორჯნიანს, რომელიც ბელურების ამბავსა კითხულობდა?!

ჩემდა საბედნიეროდ, სამეგრელოში სამსახური რომ დავიწყე, ქართული, როგორც ვთქვი, უკვე მესმოდა და აქ კი მეგრული უნდა მესწავლა, რომელიც გამოთქმებით განსხვავდება ქართულისაგან. ჩემი ყური ცოტ-ცოტად იმასაც შეეჩვია, თანდათან მესმოდა სხვისი ნათქვამი და ერთი წლისა, თუ წლინახევრის შემდეგ ბნელეთიდან გამოვედი კიდევცა. უთარჯიმნოდ მაინც მხოლოდ მაშინ გაგებდავდი მეგრულად ლაპარაკს, როცა ძალიან გამიჭრდებოდა.

სამეგრელოს მმართველის სამუდამოდ საცხოვრებელ ადგილად ზუგდიდი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რადგან მთავრის სახლი ოსმალის მიის შემდეგ დანგრეული იდგა, ნ. კოლუბიაკინი ძალაუზუნებურად დროებით სენაკის ოლქში დაბინავდა, სოფელ ახალხორში, ელიზბარ დადიანის სასახლეში.

პირველ ხანს ვერც მე დაბინავდი ჩემს რეზიდენციაში, დაბა ახალსენაკში, რადგან საოლქო სამმართველოსათვის სახლი ჯერ არ იყო აშენებული, ამიტომ სოფელ თეკლათში ვიშოვე ბინა, თავად ივანე მხეიძესთან, რომელსაც აქ დიდი ხის სახლი ედგა. ასეთი სახლი იმ ხანებში იშვიათი იყო.

უცნაური კაცი იყო ჩემი სახლის პატრონი, ივანე მხეიძე, რომელსაც კინტირიასაც ეძახდნენ, რადგან განსაკუთრებული თავი ჰქონდა, კიტრის მსგავსი, წვეტიანი; გულკეთილი იყო და ძალიან უხაროდა, რომ სახლი სახელმწიფო დაწესებულებას ნახევარი წლით მიასიკრავა. ერთი წლის წინათ

იმავე სახლში კინტირიას ომერ-ფაშა ეყენა. თურმე ძალიან პატივსა სცემდა ოსმალეთის წარჩინებულ კაცს ჩვენს კინტირია. თვითონაც არ მიმალავდა: ორდენი და ბეგობა მომცაო, და იმასთან ფეხს მეხურათ. **“მაშ რა შექნა? – მითხრა კინტირია, – ხომ არ ვუფრნებოდი! მოგახსენებთ, ძალა აღმართსა ხნავს. რუსის ჯარი წავიდა, ჩვენ თავი გაგვანებეს, ძალაუზუნებურად მივიღე ასეთი სტუმარი; რომ არ მიმეღო, მე არც კი მკითხავდა, ძალაით დაეპატრონებოდა ჩემს სახლსა და კარს. ნეტავი არ წასულიყო. მართალი უნდა მოგახსენოთ, მეგონა რუსები ამის შემდეგ აღარ დაბრუნდებინ-მეთქი. სარდალი ძალიან კარგი კაცი იყო, თითქმის ყოველ დღე მხატვრებდა სადილად და ნარდსაც ხშირად ვთამაშობდით ერთად. ძალიან უყვარდა ნარდი. გოგოებიც ძალიან უყვარდა. ერთი მღვდლის ქალი იყიდა, მეტად ლამაზი, მეგრე სტამბოლში წაიყვანა”.**

ისიც მიამბო კინტირიამ, სარდალი თავის ხელაქეთებს მეტად მკაცრად ეპყრობოდა, ხელადა სჯიდაო. ოფიცრებს ფეხის ქუსლებზე სცემდნენ, ხშირად იქვე ეხსოვი ხდებოდაო ეპყრებოდა. ძარცვისა და დაღატი-სათვის ხომ სიკვდილი იყო გამზადებულიო.

სოფელი თეკლათი ზუგდიდის გზის მახლობლად მდებარეობს. გარშემო ტყე აკრავს, რომელიც ზღვამდე უწევს, მთელის ორმოცის ვერსის მანძილზე; ტყე უტეხია, გაუყალი, ნარეკალათი გაბანდული. შიგა სცხოვრობს ირემი, გარეული ღორი და ხოხობი. კინტირია ხშირად კვანავინდა თავისს ბიჭებს სანადიროდ და მე კიდევ იმისაგან სხვადასხვა ნანადირევს ვყიდულობდი. სხვა მხეიძეებიც გავიცანი. ამთვან ყველაზე მდიდარი გრიგოლ მხეიძე იყო, რომელსაც იჯარით ჰქონდა ომის დროს სურსათის ძლევა 100.000 მანეთამდე მეტი მოიგო. აქაურს როტშილდის სახლიც ვეროპულადა ჰქონდა მორთული. მხეიძენი მომეტებულად ხე-ტყის წარმოებითა სცხოვრობდნენ. თავის მდიდარ და ვრცელ ტყიდან მდინარე ხობის-წყლითა და რიონით ხეები და ფიცრები გაჰქონდათ ზღვის ნაპირად გასასყიდად. საზოგადოდ, ეს გვაროვნობა ერთ შეძლებულ გვაროვნობად ითვლებოდა.

ამგვარად ფეხი მოვიკიდე აქ და შევუდექი ჩემდამი რწმუნებული სენაკის ოლქისათვის ზრუნვასა. ამ დროიდან ჩემი მოგონებანიც ამ ოლქს შეეხება. ხოლო, რათა უფრო ადვილად გაგუთავალისწინო მკითხველს ჩემი მოთხრობა, ვეცდები ყოველთ უწინარეს ნათლად წარმოვადგინო, ვისთანაც მე საქმე მქონდა, ვინა და რა ხალი იყო.

2

შოსეს გზა ზუგდიდიდან სადგურ მარანამდე (ქუთაისის გუბერნიის საზღვარზე იყო), რაღაც უცნაურ შემთხვევის წყალობით, სენაკის ოლქს ორ ნაწილად ჰყოფდა. ორივე ნაწილი ერთმანეთისგან საშინლად განსხვავდებოდა. შოსეს გზის მარჯვნივ ოდიშის ვაკე იყო გადაჭიმული, თითქმის ერთიანის ტყით დაბურული. ზღვა რაც უფრო უახლოვდებოდა, თანდათან ვაკდებოდა და თავდებოდა გრძელისა და გაუყალის ჭაობებით; ხოლო მეორე (მარცხენა) ნაწილი მთა-გორიანი იყო. ამ ნაწილზე იყო გაჭიმული მხოლოდ სახნავ-სათესი ადგილები, ბაღები და ვენახები.

მარჯვენა ნაწილი ცივის-წყლიდან (ზუგდიდის ოლქის საზღვარი) სოფელ თეკლათიდან იწყებოდა, სადაცა, როგორც უკვე ვთქვით, თავადნი მხეიძენი სცხოვრობდნენ; მათს იქით, ზღვისკენ – თავადნი ჯაიანნი, ქონაქიძენი და მიქაძენი სცხოვრობდნენ. მათი მამული მდინარე რიონამდე სწვდებოდა, მეგრე იწყებოდა დიდი საკლესიო მამული, საჭყინდილო, რომელიც რიონის ნაპირად იდო, სოფელ ჭალადიდიდან. საეკლესიო მამულის სამხრეთით, რიონის აყობებზე, ქუთაისის გუბერნიის საზღვრამდე, საჭილაო იყო, სადაცა სცხოვრობდნენ აზნაურები: კორხაიები, ნანეიშვილები და სხვა.

მთელია ამ მარჯვენა მხარის მცხოვრებნი ცნობილი იყვნენ როგორც გამრჯე, მრეველი და მშვიდობისმოყვარე ხალხი. თამამად შეიძლება კაცმა თქვას, რომ ასეთი მდიდარი მხარე სამეგრელოში მეორე სხვა არ იყო; ყოველ კუთხეში რომელიმე წარმოება ჰყვავდა. მხეიძენი, ქონაქიძენი, მიქაძენი ხე-ტყის წარმოებას მისდევდნენ. საეკლესიო აზნაურები და გლეხები ხენა-თესვისა, მევენახეობისა, ჩაღვადრობისა და მეაბრეშუმეობის გარდა, მენავებობასაც მისდევდნენ. ყველას ჰქონდა თავისი ნაყოფი და ფოსლა და ორპირს შუა რიონზე ნაწილად დაჰქონდათ. მენავებობა იყო ჭალადიდის მცხოვრებების ხელობაცა. ესენი, გარდა ამისა, ბაჭ-გადაუხდელ საქონელსაც ეხიდებოდნენ ჩუმად აქეთკენ. ეს ხელობა რუსების მმართველობის დროს საშინო იყო, მაგრამ მაინც არ იშლიდნენ, რადგან სარეგებობას დიდსა ჰხვდავდნენ. კონტრაბანდა ქობულეთიდან მოჰქონდათ, გურიის საზღვარზე, ჭალადიდის საბატონო გლეხები თევზაიები, ჯვარელიები და ხოჩუები განთქმული კონტრაბანდისტები იყვნენ და თითოს ათასობითა ჰქონდა ფული. აი, ასეთ გლეხებს თავის მხრივაცა ჰყავდათ გლეხები.

საეკლესიო მამულში, დაბა სუჯუნაში, ვაჭრობა იყო განაღებული. ვაჭრები აქაური ებრაელები იყვნენ, რომლებიც, როგორც ზემოდა ვთქვით, წმინდა გიორგის ეკლესიას ეკუთვნოდნენ. მათში ყველაზე მდიდარი ცხაკუნია მიხალეიშვილი იყო. ეს აქ ყიდულობდა აბრეშუმსა და სტამბოლში გაჰქონდა გასასყიდად; ამობდნენ, ორასი ათასის ქონება აქვსო. საჭილაოში აგრეთვე მეორე სავაჭრო დაბა იყო – ორპირი, რომელიც მდინარეების რიონისა და ცხენისწყლის შესართავთან მდებარეობდა. აქ იყო საფოსტო სტანცია და სადგური ნავებისათვის. ამ ნავების პატრონები იყვნენ რუსის საჭურისები, რუსეთის ყველა მხრიდან აქ გამოგზავნიდნენ. ესენი შეადგენდნენ ინვალიდთა №96 მორტას. ამ რაზმში პირველად 380 კაცი ითვლებოდა. რიონის განაპირას ლამაზი სახლები ააშენეს და დაბა დაამშვენეს. არ ვიცით, პირველად ვის მოუვიდა აზრად აქ საჭურისები დაე-სახლებინა, ეს კია, რომ ამაზე უკეთესს ალავს სხვაგან ვერ აარჩევდნენ. აქაურ მკვიდრთაგანი ერთი კაციც არ გადაუბირებიათ თავისაკენ. მათმა მანვე მოძღვრებამ მარტოოდენ ზიზიდი გამოიწვია აქაურებში. და ერთი-მეორეზე ისე ამოწყდნენ, რომ კვალიც არ დარჩენილა მათი. მართალია, დამახინჯებულები იყვნენ, მაგრამ, როგორც მოდგაწიანი, ამ მიერუბულ ალავს სასარგებლონი იყვნენ. მათს შორის ყოველ გვარ-ხელოსანს იპოვიდით: დურგალი გნებავსთ, ხური, მჭედელი, ჩილინგარი, მკაცასრე, პურის მცხოვრელი, თუ სხვა ხელობისა. ხშირად ქუთაისიდანაც უკეთესადნენ სამუშაოსა. მართალია სუსტნი იყვნენ, მაგრამ შრომის მოყვარე და დახლოვებულ მუშების სახელი ჰქონდათ. არამც თუ შემოკვეთილ სამუშაოს შესრულებას ასწრებდნენ, თავის ნავებიცა ჰქონდათ და ფოსლა და ორპირს შუა ხალხიც დაჰყავდათ და საქონელიც დაჰქონდათ. სასაცილო რამ იყო ეს ახალშენი. ტანთ ეცვათ ინ-

ვალდითა ფორმის ტანისამოსი, წვრილი, ქალური ხმა ჰქონდათ, სახე მოხუცისა; ამ **“გულად მეომრებს”** თავისი უფროსიცა ჰყავდათ, – ეს გახლდათ პოდპოლკოვნიკი იაგორა დავითის ძე გვეგიე და პორუნიკი ზვენიგოროდსკი, რომელიც ხანდისხან, თავისუფალ დროს, სამხედრო ხელისუფლებას ასწავლდნენ. მაგრამ საჭურისებისა და გეგიძის შესახებ ჩვენ შემდეგში გვექნება კიდევ ლაპარაკი.

სენაკის ოლქის ამ ნაწილს რიონი, ნოვალევი, აბაშა, ტეხური, ცივი და სხვა მრავალი პატარა მდინარეები რწყავენ. წყალი ჭარბადაა აქ, მცენარე საშინელის ღონით იზრდება და ნიადაგიც მეტად ნაყოფიერი. ევროპიდან მოსულებს საშინლად უკვირთ ასეთი ნაყოფიერება ნიადაგისა. ერთხელ ორი მეზღვე ფრანგი შემხვდა, რომლებიც სპარსეთის შაჰს თეირანში გამოეწერნა პარიზის **Jardin des plantes**-იდან. გზა კავკასიაზე ჰქონდათ. ჯერ ზღვის გემიდან ყულევეში გადმომსხდარან, იქიდან რიონამდე მოსულან და რიონიდან ნავით ორპირში ამოვიდნენ. აქ მე შევხვდი და ძალიან გაეხარდათ, რომ მათებურად მოლაპარაკე კაცი გამიცნეს. განსაკუთრებულის აღტაცებით მელაპარაკებოდნენ ყულევეიდან მოყოლებული გზად ნახულ ნიადაგისა და მცენარეულობის შესახებ. ევროპაში წარმოგვანაც არა აქეთ ნიადაგის ასეთი სიმდიდრისა და ნაყოფიერების შესახებო.

ერთი მეზღვე დაიხარა, ერთი მუჭა მიწა აიღო, მაჩვენა და აღტაცებით მითხრა ფრანგულად: **“იცით, რომ ერთი მუჭა ამ მიწისა პარიზში 20 ფრანგი ღირს; მიწა კი არა – შოკოლადია; ახ, რა კამელები შეიძლება ახიროს კაცმა ასეთი ნიადაგზე. აფსუსი არ არის, ასეთი სიმდიდრე ისეთი კაცის ხელში იყვას, რომელთაც არც კი იციან, როგორ გამოიყენონ ეს მიწა”.** გაოცებულნი იყვნენ, როცა რიონის ნაპირას გარეული გენაგერაქის ხესავით გამხდარი მცენარე დაინახეს, ამ მცენარით რამდენისამე ვერსის მანძილი იყო დაფარული და თითო მათგანი მართლაც რომ უშველგებელი გაზრდილა. ვისაც არ უინახავს, ძნელად წარმოიდგენს, თუ რა ხელისა იზრდება აქ ერთი წლის მცენარე გენაგერაქისა. **“მარტო ამ გენაგერაქით, – ამბობდნენ ფრანგნი: – ჩვენში კაცი მარტო ამით გამოიდრდებოდა. აქაურები კი, როგორცა ხელდავთ, სრულიად ღარიბები არიან”.**

მაგრამ, რაც უნდა დაემცირებინათ ფრანგებს აქაურები, ოლქის ამ ნაწილის მცხოვრებნი ყველაზე მეტი შრომისმოყვარენი იყვნენ და თავიანთის ზნეობით სამეგრელოს დანარჩენ მცხოვრებლებზე გაცილებით მაღლა იდგნენ. გლეხები, განსაკუთრებით საეკლესიონი, მდიდრულადაც ცხოვრობდნენ. მათი ტიპიცა, განსაკუთრებით ქალებისა, თავის სილამაზით იყო ცნობილი. სოფლის დღეებში, განსაკუთრებით სუჯუნაში, სოფლის ღამაზ ქალებს თვალს ვერ მოაშორებდა კაცი. მათი სიძღვრები და ცკვა-თამაში მეტად ნარნარია და მოგვაგონებს ჩვენებურს (რუსულს) ფერხულსა, რომელსაც თანდათან ითიწყებს ხალხი. ეკლესიის დღეებში მომეტებულად გაზაფხულობით იციან ხოლმე. ამ დღეობებზე დიდალი ხალხი იყრის თავს. ვინ იცის, რა შორეულ სოფლებიდან არ მოდიან! იმერეთიდან და გურიიდანაც მოდიან აქაურს დღეობებზე აქვე იმართება ბაზრობა და ვაჭრობა განაღებული. იმ დროებაში, რომელსაც მე ახლა აღწერ, ადგილობრივი ნაწარმოები ყველაფერი საშინლად იაფად იყიდებოდა. ერთი ფუთი აბრეშუმი ოთხ თუმნად ღირდა, ხოლო ებრაელი ერთი-ხუთად ჰყიდდნენ იმავე საქონელს სტამბოლში; ქილა სიმინდი ორ აბაზად ჰვასობდა, ქათამი – ორ შაურად, და ისეთი ყვერულები შემოჰყავდათ, რომ ფრანგული ყვერულები, პივიტოსთან 5 მანეთად რომ იყიდება ხოლმე, ამათს ფრჩხილადაც არ ღირდა; ნარჩევს ბატკანს ოთხ აბაზად იყიდდით. ღვინო აქეთკენ მდარეა; მაგრამ ერთის ჯიშის ღვინო იყო, თეთრი, მსუბუქი. **პუპულა** ერქვა, სასიამოვნო სასმელი იყო. ყურძენი დაბლობში და, ამასთან, ხშირ ტყეში თუ იზრდება, ყოველთვის წყალ-წყალო ხოლმე; მართალია, ღვინო ნაყოფიერად იყო, სამაგიეროდ აუარებელი იყო პური, თევზი, შინაური ფრინველი, ცხვარი.

ისტორიული მენსიარება და გეოპოლიტიკური კანონზომიერება იოსოვს



უნდა დაგარწმუნოთ, პატივცემულო მკითხველო, რომ სადაც მოაზროვნე ანალიტიკური ქართველობა პატივს სცემს ისტორიულ მემკვიდრეობას, რომელიც დალადებს: რუსეთის მეშვეობით საქართველო გადაურჩა გარდაუვალ ასიმილაციას. მან თურქეთს ნაბიჯ-ნაბიჯ გამოსტაცა ხელიდან სხვადასხვა დროს მიტაცებული ქართული მიწები, კერძოდ: ახალციხე-ახალქალაქის მხარე, ტაო-კლარჯეთი, აჭარა-ბათუმი, ფოთი და ა.შ. ყოველივე ამისთვის რუსეთმა თურქეთის წინააღმდეგ ოთხი მიმე ომი გადაიხადა. ამ ომებს ბევრი რუსი ჯარისკაცისა და ოფიცრის სიცოცხლე შეეწირა ქართველ პატრიოტებთან ერთად. ისტორიული მემკვიდრეობა არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ აღნიშნულ ომებში დაღვრილი სისხლი დავიწყებას მივცეს. ამ სისხლის საფასურად რუსეთმა არა მარტო თურქების მიერ მიტაცებული მიწები დაგვიბრუნა, არამედ ერთ მთლიან ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ ჩარჩოშიც მოგვამოკლა, ასე ვთქვათ, აკინდა სამეფო-სამთავროებად გათიშულ-გაფანტული და დაპირისპირებული, ხშირად ურთიერთ საომარ მდგომარეობაში მყოფი ქართული მიწები.

ვიცი, ოპონენტები თავს დაგვესხმებიან, მაგრამ სათქმელს მაინც ვიტყვი და შევეცდებით, რუსეთთან ჩვენი უპირატესი სიახლოვის გარდაუვალობის შესახებ მკითხველს სათანადო არგუმენტებით მივაწოდოთ.

დაახ, მეფის რუსეთი ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის თუ სხვა ქვეყნების მსგავსად, კოლონიზატორულ პოლიტიკას ეწეოდა, მაგრამ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ თანამედროვე გერმანელ ისტორიკოსს, პროფესორ ანდრეას კაპლერსაც, რომელიც წერს: „მთლიანობაში რუსეთის იმპერია არსებითად განსხვავდებოდა კოლონიური იმპერიისაგან; მასში არ იყო მკვეთრი დაყოფა გაბატონებულ ფენასა და არარუსულ ქვედა ფენებს შორის. მეფის იმპერია არ იყო უბრალოდ „ხალხთა საპყრობილე“, როგორც ლენინი ფიქრობდა, არც კოლონიური იმპერია, როგორც დღეს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების არარუსი ეროვნებისა და დასავლეთელი ისტორიკოსები აცხადებენ“. შემდეგ კაპლერი აგრძელებს: „რუსებიც არარუსებით ჩიოდნენ, რომ ცარიტული სახელმწიფო მათ ჩაგრავეს და ექსპლუატაციას უწევს“. ბოლოს კიდევ ერთი ამონაწერი მისი ვრცელი წერილიდან: „რუსი გლეხები უფრო უარეს სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ სიტუაციაში იმყოფებოდნენ, ვიდრე ბალტიისპირა თუ კავკასიელი გლეხები“ (ანდრეას კაპლერი, „რუსეთი საკუთარი ისტორიის ტყვეობაში რჩება“, თარგმანი გერმანულიდან პროფესორ ნ. მუშკუდიანისა, გაზეთი „PS“, იანვარ-თებერვალი, 1996 წ.). ვინც კი ჩაუფიქრდება გერმანელი პროფესორის აქ მოყვანილ მოსაზრებას და

გაიხსენებს, თუ როგორ მოქმედებდნენ ანგლოსაქები თავიანთ კოლონიებში, ის ჯანსაღად გაიზრებს ქართველების რუსებთან ერთად ყოფის ორი საუკუნის ისტორიას ყველა თავის განზომილებაში.

გადავხედოთ ისტორიას, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფება ქართველებით დასახლებული მიწები მე-18 საუკუნის ბოლოს: ეს იყო ქართლ-კახეთისა და იმერეთის ცალკე სამეფოები; გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთის, ასევე ცალ-ცალკე არსებული სამთავროები; თავადური სეპარატიზმით, ირანულ-თურქული აგრესიით და ლეკიანობით გაწამებული ქვეყანა; უცხო არ იყო ქართველთაშორის ომებიც – სამეგრელო-გურიის, სამეგრელო-იმერეთის და ა.შ. შერკინებები. ყველაფერ ამას ემატებოდა ისეთი მახინჯი და ველური, ერის შემარცხველი მოვლენა, როგორიც იყო ქართველი გოგო-ბიჭების ცხვრებით ყიდვა-გაყიდვა თურქეთის ბაზარზე (გაიხსენეთ კინოფილმი „მამლუქი“). ისიც გაიხსენოთ, რომ იმ დროისათვის, რუსეთთან მიერთების წინ, ძირძველი ქართული მიწები – აჭარა-ბათუმის მხარე, ფოთი, სამცხე-ჯავახეთი და სხვები თურქების მიერ იყო მიტაცებული და თანაც სულიერად და ხორციელად გათურქებული, უკვე ასიმილირებული. მაშინდელი საქართველოს მოსახლეობა ნახევარ მილიონს ოდნავ თუ აღემატებოდა.

უცილობელი ფაქტია, რომ გაფანტული ქართული მიწების მოკრებას და ერთ მთლიან ეკონომიკურ, სულიერ-კულტურულ და ადმინისტრაციულ ორგანიზმად ჩამოყალიბებას რუსეთმა მე-19 საუკუნის მთელი 80 წელი მონადომა. ხაზგასმით გეთანხმებით, ოპონენტებო, რომ ყოველივე ამას მეფის რუსეთი თავისი იმპერიული მიზნებისთვის აკეთებდა და არა ქართველთა სიყვარულით, მაგრამ ობიექტურად ქართველთა საქმეც ხომ გაკეთდა? თურქების წინააღმდეგ წარმოებულ ომებში რუსებთან ერთად ქართველების სისხლიც დაიღვრა, შედეგად კი ქართული მიწების ერთად თავმოყრა მივიღეთ; თურქული ასიმილაციისგან ქართველთა დიდი ნაწილი გადავარჩინეთ. დიდი სისხლის ფასად დაუჯდა რუსეთს ამ მიზნის შესრულება. ხომ ისტორიული ფაქტია ყოველივე ეს? სწორედ ეს არის ისტორიული მემკვიდრეობა, რომელსაც რუსეთი და მასთან ერთად საქართველოც ვერ დაივიწყებს.

არავინ იფიქროს, რომ რუსეთი სისხლით მოპოვებულს იოლად დათმობს და ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და, გნებავთ, უკრაინულ მიწებს გათავსებულ ნატოელებს სამხედრო ბაზების მოსაწყობად დაუთმობს.

რუსეთი აუცილებლად მიმართავს კონტროლს, როცა მის ინტერესებს საფრთხე დაემუქრება; აკი, მიმართა კიდევ და საქართველოს ვაიხელმძღვანელობის 2008 წლის ავგუსტის ავანტიურისტულ სიბრძავეს აფხაზეთ-ცხინვალის რეგიონების და კიდევ ახალი მიწების ფაქტობრივი მიტაცებით უპასუხა; მ. სააკაშვილი ორივე ყურით ხელში ჩაიჭირა, გეოპოლიტიკური კანონზომიერებით იმოქმედა; ამერიკის შეერთე-

ბულ შტატებს განუცხადა: თქვენს ნატოს აქ არაფერი ესაქმება.

ისტორიულ მემკვიდრეობას პატივი რომ უნდა მივაგოთ, ეს ჭეშმარიტება ავადსახსენებელმა გორბაჩოვმაც კი შეგვახსენა ამ 12 წლის წინათ, როცა გვითხრა: „რუსებს შეხედეთ, ისტორიამ ვერაფერი გასწავლათ?.. სიკეთის მეტი რუსეთს თქვენთვის არაფერი გაუკეთებია, რატომ ხართ უმადურები? გადახედეთ ისტორიას და ნახავთ, რაც მოგელით“ (გ.ა.ხ. „კვირის პალიტრა“, 26 მაისი – 1 ივნისი 1997 წ.). აქ ნამდვილად ვერ შევედავებით; მისი თქმული სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა.

გორბაჩოვის თქმისა არ იყოს, ისტორიას მართლაც უნდა გადავხედოთ: ქურთებს, ჩვენზე უფრო მრავალრიცხოვან ერს, რუსეთის მსგავსი კოლონიზატორი რომ გასწავლოდათ, თურქი ასიმილატორების ბატონობის ქვეშ დღემდე აღარ დაიტანჯებოდნენ და თავიანთი სახელმწიფოებრიობა ექნებოდათ, როგორც, მაგალითად, სომხებს, რომლებიც ამას დღეს რუსეთს უმაღლიან, ისტორიულ მემკვიდრეობას არ ივიწყებენ და მოგებულები რჩებიან.

მე-19 საუკუნის შუახანებში რუსეთის ქვეშევრდომობაში არსებულ საქართველოში მეფისნაცვალის მიხედვით ვორონცოვი აქტიურად მონაწილეობს ქართული თეატრის აღორძინებაში; ესმარება გიორგი ერისთავს თეატრალური დადგმების მატერიალურ უზრუნველყოფაში. ბევრ სხვა ქართულ საქმესაც მხარს უჭერს, კერძოდ, ქართულენოვანი ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემას. ყოველივე ამისთვის მოგვიანებით მიხედვით ვორონცოვი აკაკი წერეთლის ქებას იმსახურებს, რომელმაც მას პოემაც კი მიუძღვნა. მოგვიანებით, 70-იანი წლების დასაწყისში, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ იბადება; ქართველ ხალხს იღია ჭაუჭაუჭადის, აკაკი წერეთლისა და სხვათა ქართულენოვანი შემოქმედება ემსახურება.

ანტირუსული ბაცილით შეპყრობილ ნათაძეებს, წიკლაურებს, თარგამაძეებს და ა.შ. ვეკითხებით: ბატონებო, ახლა თქვენ თვითონ ბრძანეთ, იმავე მე-19 საუკუნის შუახანებში როგორ პირობებში ცხოვრობდა და საქმიანობდა ჯერ კიდევ თურქეთის გამგებლობაში მყოფი აჭარა-ბათუმის მხარის ქართველობა. ჰქონდათ მათ ქართული თეატრი, ქართული ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და ა.შ.? თქვენ იძულებული იქნებით, აღიაროთ, რომ თურქეთის ხელში დარჩენილ ქართველობას წართმეული ჰქონდა ქართული გვარ-სახელები, ქართული ენა და თვით სხეულის ნაწილიც კი, როგორც იძულებითი გამაჰმადიანებულებს. უცილობელი ფაქტია, რასაც ვერ გააყალბებთ!

როგორ გაიხარა დიდმა ილიამ, მთელმა ქართველობამ, როცა 1877-78 წლების ომში რუსი და ქართველი მეომრების ერთობლივი ძალებით აჭარა-ბათუმის მხარე დაიბრუნეთ. სულ მალე აღნიშნული მხარის ქართველობა შეუფერხებლად ეზიარა იაკობის „დედა ენას“, ილიასა და აკაკის შემოქმედებას; გაგრძელდა ქართული ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და სხვა. ყოველივე ეს ისტორიული მემკვიდრეობაა, შემკვიდრებული და დაივიწყებას არ ექვემდებარება!

მიუხედავად ყველა წვენიისა, რაც რუსეთმა მოგვაცენა, მკაცრად თუ ვიმსჯელებთ, უმეტესი ბრალი ჩვენი გეოპოლიტიკური სიბრძავის გამო ჩვენ თვითონ მიგვიძღვის მის უსაფუძვლო, უტაქტო და წინადაუხედავ გაღიზიანებაში, ჩვენ მაინც მასთან უნდა ვეძებოთ საერთო ენა, თანამშრომლობა და კეთილმეზობლობა. რატომ რუსეთთან? შევეცდებით, ამის შესახებ ჩვენეული ხელვა ამ წერილის გაგრძელებაში გაახსლოთ.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი გივი გურეშიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი ნუგზარ ავალიანი

მშვიდობით, დიდო რვიანო

„დიდი რვიანი“, როგორც ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული ქვეყნების კლუბი, იტალიის ქალაქ აკვილაში დასამარდა. ახლა ფორმატი, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის სფეროს უხელმძღვანელებს, შემდგენიად ფორმულირდება: 8 პლუს 5 – მსოფლიოში ხუთი ყველაზე ძლიერი განვითარებადი ეკონომიკა. ჯამში 13 გამოდის, მაგრამ გეოპოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, გადაწყდა, მიღებულ 13-ს დამატებოდა ეგიპტეც როგორც აფრიკული, არაბული და მუსლიმანური ქვეყანა. მოცემულ ფაქტზე გარკვევით პირველმა საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ განაცხადა: „მსოფლიო მმართველობა უნდა განვითარდეს, როგორ შეიძლება, მსოფლიოს ბედთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში არ ჩაერთოთ მილიარდობით სხვადასხვა ქვეყანა, მაგალითად ინდოეთი? ჩვენ შევეცდებით, გავაერთიანოთ ორი ჯგუფი – 8 და 5, პლუს ეგიპტეც ეს რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაგაკეთოთ“.

„დიდმა რვიანმა“ მიიღო ავტონომიური გადაწყვეტილება, ამ ჯგუფის ფარგლებში 2050 წლამდე 80%-ით შეამციროს ნახშირბატი გაზის გამონაბოლქვი და მოუწოდა ხუთეულს მსოფლიო დონეზე მისი 50%-ით შემცირებისკენ, მაგრამ რვიანმა ვერ დაარწმუნა ჩინეთი და ინდოეთი, ამ მიზნის მიღწევის ვალდებულება საკუთარ თავზე აეღოთ. გარდა ამისა, აღნიშნული მიზანი ეჭვქვეშ დააყენეს კანადამ, რომელმაც მას „სასურველი“ უწოდა და რუსეთმა, რომელმაც გულახდილად განაცხადა, რომ ამის გაკეთება არ შეუძლია. გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა განაცხადა, რომ არსებული მდგომარეობით უკმაყოფილოა. ყველაზე სერიოზულ დარცმად მაინც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განცხადება იქცა – პეკინი თავს შებოჭილად არ გრძნობს „დიდი რვიანის“ შეთანხმების გამო. ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მა დაო სიუი დაახლოებით იმას გულისხმობდა, რომ დასავლეთის ქვეყნებს, რომლებიც ვითარდებოდნენ და მდიდრდებოდნენ გარემოს დაბინძურებით, უფლება არ აქვთ, დანარჩენ მსოფლიოს, რომელიც, ასევე, საჭიროებს განვითარებას, გარემოს დაუბინძურებლობა მოსთხოვონ.

La Repubblica

ბრიტანელებს რუსული ბომბ-დამშენები აშინებთ

ბრიტანეთის თემის პალატის თავდაცვის კომიტეტმა ხელისუფლებას მოუწოდა, უფრო მკაცრი რეაგირება მოახდინოს წინასწარი გაფრთხილების გარეშე რუსული სამხედრო თვითმფრინავების ბრიტანეთის საჰაერო სივრცის სიახლოვეს გამოჩენის ფაქტებზე. პარლამენტარები არ უარყოფენ რუსეთის ფედერაციის უფლებას, გაუმყაროს თვითმფრინავები შორეულ საჰაერო სივრცეში, მაგრამ, მათი აზრით, ამგვარ გადაფრენებს მეგობრულს ვერ უწოდებ. ამასთან, ეს საფრთხეს უქმნის სამოქალაქო ავიარეისებს და შესაძლოა, „დაბომბულობის ესკალაციამდე“ მივიდეს. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში 18 ასეთი შემთხვევაა დაფიქსირებული, მათგან ორი – წლეულს.

The Times

„...ახალკაცი მოსაშორებელი იყო და ამას კირკიტაძე გააკეთებდა თუ ჯო დასენი, ეს უკვე მეორეხარისხოვანი საქმე გახლდათ“...

იტალიის ნაკრებთან საქართველოს ნაკრების კაპიტანისა და მილანის მცველის კახი კალაძის ავტოგოლების წყალობით წაგებული მატჩის შემდეგ ყველა დარწმუნდა, რომ ქართული ფეხბურთი იმაზე ცუდ მდგომარეობაშია, ვიდრე ამას ქართული გულშემატკივარი ელოდა. ეროვნულ ნაკრებს რომ თავი დავანებოთ, ეროვნული ჩემპიონატიც სულს დაფავს და რამდენიმე ბიზნესმენის კეთილი ნებით კუს ნაბიჯებით მიიწვეს წინ. მათვისაც ბიზნესი არ აფინანსებს, სახელმწიფო მოხელეები „კრიშავენ“. რამ მიიყვანა ქართული ფეხბურთი ამ მდგომარეობამდე? გადავხედოთ ახლო წარსულს და ლოგიკური დასკვნა გაგვაკეთოთ.



ერთი „სტაჟიანი“ გულშემატკივარი საუბარში გულისტკივლით ამბობდა, რომ სახელმწიფო ხელს უწყობს ფეხბურთის დასამარებას, რადგან არაფრით ეხმარება.

მართალიცაა, ქართული ფეხბურთის უმძიმეს მდგომარეობას ფინანსური და სათანადო პოლიტიკური ნების უქონლობა ქმნის. საზოგადოების უმეტესობა მიიჩნევს, რომ ქართული ფეხბურთის კომაში მრავალწლიანი ყოფნის მიზეზი იქ გამეფებული კორუფციაა. გარიგებულები და „ჩაწყობილი“ თამაშები კი ყოველწლიურად თან სდევს ეროვნულ ჩემპიონატს.

გავიხსენოთ საქართველოს XX ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებულ „ვიტჯორჯიას“ და რუსთავეის „ოლიმპს“ შორის აგორებული სკანდალი გარიგებულ მატჩზე. მაშინ თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი კახა კაჭარავა აქტიურად საუბრობდა, რომ ჩემპიონის ქალები უნდა დაკლებოდა და ჩემპიონობა ჩამორთმეოდა, თუმცა ის, რომ „ვიტჯორჯიას“ მიმდინარე ჩემპიონატში მხოლოდ ერთი წაგება ჰქონდა და გუნდი ყველაზე ძლიერი იყო ჩემპიონატის მონაწილე სხვა გუნდებს შორის, ბევრი სპეციალისტი ადასტურებს. კახა კაჭარავა კი საუბრობს სხვა გუნდების „შავ“ საქმიანობაზე, მაგრამ ერთგულ ქომაგებს კარგად ახსოვთ, როგორ მოიპოვა 1995 წელს „დინამომ“ ჩემპიონობა: ფაქტობრივად, ქვეყნის ნაკრებსა და მის წარმატებებზე, არც მეტი, არც ნაკლები, „მხედრონი“ მიუშაობდა.

ამ ამბების გახსენება შორს წაგვიყვანს. ფაქტი კი ერთია – ყველა იმ ქვეყანას, რომელიც საბჭოთა მარწუხებისგან გათავისუფლდა და შემდეგ იზრუნა ფეხბურთზე, დღეს კარგი მაჩვენებელი აქვს. მარტო ხორვატიის მაგალითის გახსენება რად ღირს. ამ დროს ქართულ გუნდებს ქვეყანაში შექმნილი საომარი სიტუაციის გამო ევროტურნირებზე არ უშვებდნენ.

1992 წელს სოხუმის „ცხუმი“, რუსთავეის „გორდა“ და თბილისის „დინამო“ ევროტურნირებიდან სწორედ ამ მიზეზის გამო მოხსნეს.

უფროსი ნოდარ ახალკაცი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტი იყო. იმ დროს ფედერაციას სახელმწიფოსგან არანაირი ხელშეწყობა არ ჰქონია და ყველაფერს საკუთარი ძალებით აკეთებდნენ. პირველად 1993 წელს დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ევროტურნირებში მონაწილეობდნენ და ნაკრების შესარჩევ ეტაპზე ჩართვა სწორედ ახალკაცის სახელს უკავშირდება. ძველ გულშემატკივრებს აღბათ, არ სჭირდებათ, იმის შესვენება, რა წარმატებები ჰქონდა ახალკაცს (ნოდარ ახალკაცი XX საუკუნის მწვრთნელად დაასახელეს საქართველოში). უფროსი ახალკაცის საქმიანობა მის შვილსაც ისეთივე წარმატებით რომ გაეგრძელებინა, დღეს ქართული ფეხბურთი უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა, თუმცა ახალკაცებს შორის შუალედში მერაბ ჟორდანიას გახლდათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი; პირველად, რომელიც 2003 წელს ერთდროულად სფფ-ს პრეზიდენტი, ეროვნული ნაკრების მწვრთნელი და ლანჩხუთში მასპროტარო დეპუტატობის კანდიდატიც იყო. გულშემატკივრების უმეტესობის აზრით, ქართული ფეხბურთის დასამარება სწორედ ჟორდანიამ გააღრმავა, თუმცა, კუ-

ლუარებს თუ დაუფუჯრებთ, სფფ-ს გაფლანგული ბიუჯეტი ჟორდანიას რამდენჯერმე შეავსებინეს. მისი სკანდალურად წასვლის შემდეგ, არანაკლები სკანდალის ფონზე 2004 წელს, ფედერაციის პრეზიდენტად უმცროსი ნოდარ ახალკაცი აირჩიეს.

2008 წლის არჩევნებში კი ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა გიორგი ნემსაძემ გაიმარჯვა, თუმცა მისი პრეზიდენტობა 24 საათსაც არ გაგრძელებულა. გიორგი ნემსაძე არ საუბრობს, რა მოხდა მაშინ, თუმცა ხმები იმის შესახებ, რომ მის ოჯახს ემუქრებოდნენ, სიმართლეს მოკლებული არ უნდა იყოს.

„ნემსაძე გადააგდეს, – ამბობს ქართული ფეხბურთის ერთგული ქომაგი დავით ჭინჭარაული, – ამაში, რა თქმა უნდა, ქვეყნის ხელისუფლება იყო ჩარეული, სანდო წყაროებიდან ვიცი, რომ ხელისუფლების შიდა წრეებში იყო თავად დაპირისპირება. ერთი ნემსაძეს უჭერდა მხარს, მეორე კი – ახალკაცს. პირველი მხარე კირკიტაძე რომ იყო, ეს არავისთვის უცნობი არ არის. იმის ბგერა, რომ ახალკაცს დაუჭირეს მხარი, ბევრი გუნდი უფსკრულში გადაიჩეხა, ეს გუნდები იყო ბათუმის „დინამო“, „ამერი“, გორის „დილა“ და სხვა კლუბებიც“.

2006 წელს ახალკაცის უშუალო პროტექციით ლევერკუზენის „ბაიერნის“ ყოფილი მწვრთნელი კლაუს ტოპიოლერი იმ მიზნით ჩამოიყვანეს, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასული გუნდის მწვრთნელი საქართველოში საოცრებებს მოახდენდა, თუმცა იმ ეტაპზე „ტოპიამ“ გარკვეული მიზეზების გამო ბევრი ვერაფერი მოახერხა. საქართველოს ბიუჯეტს გერმანიის ჩამოყვანა საკმაოდ დიდი თანხა დაუჯდა, თუმცა ტოპიოლერსაც არ დააცალეს ბოლომდე და გაუშვეს.

„ტოპი“ 2008 წელს წავიდა და მის ნაცვლად კუპერი მოვიდა. მის კონტრაქტშიც საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება სახელფასო თანხა (წლიური – 1 800 000 დოლარი). ყველაზე ტიტულოვანმა მწვრთნელმა ყველა მსტირეკორდი მოხსნა – 14 თამაშიდან ანტილოდ ერთი მოგება, 3 ფრე და 10 მარცხი.

„კუპერი უნდა წავიდეს!“, უნდა წავიდეს ახალკაცი! – ამ ლოზუნგებით ფეხბურთის ფედერაციასთან წლეულს აპრილსა და მაისში რამდენიმე აქცია გაიმართა, თუმცა უშედეგოდ; ფედერაციაში ხელი-სუფლების კადრს ფეხვები ღრმად ჰქონდა გადაგებული. ახლა კი წავიდნენ, მაგრამ რაღა დროს?

გულშემატკივარს, ალბათ, არც ის დაავიწყდება, რა განცხადება გააკეთა თავად პრეზიდენტმა სააკაშვილმა, მაშინ, როდესაც უმცროსი ახალკაცი გასაპრეზიდენტებლად საქართველოში ჩამოვიდა – „ღირსეული მამის შვილია და მის საქმეებს გააგრძელებს“. გაგრძელება ყველამ ნახა, ოღონდ ღირსეულიდან ძალიან შორს იყო. ფედერაციასთან გამართულ აქციაზე

გაიგონებდით, როგორ ხედება ნემსაძეს და როგორ უყურებს თვალებში, ნამუსი რომ ჰქონდეს, ადგებოდა და წავიდოდა. ეს გულთან რომ არავის მიუტანია, შედეგიდანაც ჩანს.

ამასობაში ნუ დაგვავეციდება კირკიტაძე. იგი პარლამენტიდან ქვემო ქართლის გუბერნატორად გაამწვეს და მანაც ადგილობრივი რუსთავეის „ოლიმპისა“ და ბოლნისის „სიონის“ მფარველობა იკისრა. კირკიტაძისა და ახალკაცის დაპირისპირებაზე შემდეგ უფრო მეტს საუბრობდნენ.

მალტის ნაკრების წინააღმდეგ სათამაშოდ საქართველოს ნაკრებში 16 წლის ჯანო ანანიძე გამოიძახეს, რომელიც მოსკოვის „სპარტაკში“ ასპარეზობს. რუსებმა ანანიძე არ გამოუშვეს და პატარა ფეხბურთელს მოქალაქეობაც შესთავაზეს. ამის გამო განრისხებულმა კირკიტაძემ განუთქმინა შეაჩვენა ახალკაცი და შეუთვალა, შენს ადგილას მამაშენი რომ ყოფილიყო, ფეხით ჩავიდოდა მოსკოვში და ანანიძეს ჩამოიყვანდა, შენ კი განძრევაც არ გინდაო.

წლეულს სახელმწიფომ კანონი მიიღო, რომ ის გუნდები, რომლებიც სახელმწიფო დოტაციაზე, ეროვნულ ჩემპიონატში ვეღარ იასპარეზებენ. 13 გუნდიდან 10 დატოვეს და ჩემპიონატიც განახლდა. „ოლიმპმა“ გასულ სეზონში მესამე ადგილზე დაასრულა ჩემპიონატი და ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩაერთო. გუნდმა გადალახა პირველი ეტაპი და მეორე ეტაპზე პოლონეთის „ლეგია“ დაუპირისპირდა. სწორედ ამ მატჩზე დაგეგმა „კირკიტაძე“ ადგილობრივი გულშემატკივრების წაყვანა პოლონეთში. უნდა წასულიყვნენ ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებიც, თუმცა თამაშამდე სამი დღით ადრე ჩემი კოლეგა რუსთაველიდან გულდაწყვეტილი მწერდა: მიუხედავად იმისა, რომ რუსთავეის მერია აფინანსებდა ჩვენი და გულშემატკივრების გამგზავრებას, საელჩოში შექმნილი სიტუაციის გამო ვიხუბები მაინც ვერ მივიღეთ. სამაგიეროდ, რეგიონის გამგებლებმა პოლონეთში „გაისიერნეს“. ეკონომკლასს ხომ არ იკადრებდნენ ხელისუფალნი და ბიზნესკლასით იმგზავრეს. როგორც ჩვენი წყარო აცხადებს, კირკიტაძემ სწორედ თვითმფრინავში დააგვალა გამგებლებს, გუნდისთვის საჭირო ატრიბუტიკა შეეძინათ.

არავინ უარყოფს, რომ ქართულ ფეხბურთს ფინანსები და ხელშეწყობა სჭირდება, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს იმ სახსრების ხარჯზე, რომელიც სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად არის გამოყოფილი. მსგავსი პრობლემები კი სახელმწიფოს ისედაც თავსაყრელი აქვს.

კირკიტაძე რომ ზრუნავს ფეხბურთზე, ესეც აშკარაა, მაგრამ მთავარია, ამ საქმეს ის ფული არ მოხმარდეს, რომელიც ხალხისთვისაა გამოყოფილი. დავით კირკიტაძემ საქართველოს ფეხბურთის ისტორიაში პირველმა ყველაზე კარგი პროექტი

გააკეთა. რუსთავეის „ოლიმპმა“ ბრაზილიურ „ატლეტიკო პარანანსეტთან“ გააფორმა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც საქართველოში ბრაზილიელი ფეხბურთელები ჩამოვიდნენ. მათ ხელფასებს ბრაზილიური მხარე იხდის. ქართული მწვრთნელები ბრაზილიაში გაემგზავრებიან კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ეს ჩემპიონატის დონეზეც აისახება.

დავით ჭინჭარაულის თქმით, სახელმწიფო მუდამ ერეოდა ფეხბურთის საქმეებში და მფარველობდა გუნდებს. მან ედუარდ შევარდნაძის ძმის ევგრაფ შევარდნაძის საქმიანობა გაიხსენა – ყველამ იცოდა, სახელმწიფოს ფულს რომ „ტეხავდა“, თუმცა ამ ფულით მან ლანჩხუთის „გურია“ ევროტურნირზე გაიყვანა, მაშინ, როდესაც, საბჭოთა კავშირის რუკაზე ლანჩხუთი საერთოდ არ იყო აღნიშნული:

„კირკიტაძეს, როგორც ჩანს, ფეხბურთი ძალიან უყვარს, მის განვითარებაზეც ზრუნავს, თუმცა არ მომწონს, რომ გასულ სეზონში მსაჯები ხშირად ემხრობოდნენ „ოლიმპს“. კლუბის ოფიციალური სპონსორი რუსთავეის მეტალურგიული ქარხანაა: დამატებით კიდევ რას ხარჯავენ ბიუჯეტიდან, არ ვიცი. მთავარია, გუბერნატორები და ხელისუფლების წარმომადგენლები კლუბებთან კავშირში არ იყვნენ, სახელმწიფო უნდა წავიდეს ფეხბურთიდან“.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის დივიზიონის გენერალური მდივანი პაატა ბურჯულიანი არ მალავს იმ ფაქტს, რომ კირკიტაძე უშუალოდ ლობიერებს რუსთავეის „ოლიმპს“, მაგრამ ამას იმით ხსნის, რომ ეს გუნდი მის რეგიონში შედის.

„არ მგონია, რომ პოლიტიკურ გავლენას კირკიტაძე „ოლიმპს“ სასარგებლოდ ცუდად იყენებდეს. ქართულ ფეხბურთს რომ დიდი მხარდაჭერა სჭირდება, ეს ცხადია. ამ საქმეში თუ ვინმე კარგ რამეს გააკეთებს, ეს მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელი იქნება“, – აცხადებს ბურჯულიანი.

ცხადია ისიც, რომ სახელმწიფო უხეშად ერევა ქართულ ფეხბურთში, სამწუხაროდ, მის საზიანოდ და არა – სასარგებლოდ. ერთ-ერთ სპორტულ ფორუმზე ამოვიკითხე: „ახალკაცი მოსაშორებელია და ამას კირკიტაძე გააკეთებს თუ ჯო დასენი, ეს უკვე მეორეხარისხოვანია“.

ქართული ფეხბურთის მიმართ ყველაზე ობიექტურ დამოკიდებულებას გულშემატკივრებისგან შეიტყობთ. მათ მხოლოდ ლამაზი ფეხბურთის ნახვის სურვილი ალაპარაკებთ და ქართველი ფეხბურთელების წარმატებაც გულწრფელად უხარიათ. ფედერაციის მესვეურებისთვის კი გულშემატკივართა წუხილი არაფერს ნიშნავს – მათთვის მთავარი პირადი ამბიციების დაკმაყოფილება და საკუთარი თუ მეგობარ-ახლობლების ბიუჯეტის უზრუნველყოფაა. ამ მერკანტილური მიზნების მისაღწევად არც სახელმწიფო ხაზინას დაგიდევენ და არც ქართული ფეხბურთის პრესტიჟი ანადგვლებთ. მით უფრო, რომ „ზემოდან“ „მწვანე“ აუნთეს... უმცროსმა ნოდარ ახალკაცმა შარშან „ყვითელი“ უკვე მიიღო (სხვათა შორის, დამსახურებულად), ახლახან „წითელი“ აუნთეს და „როგორც მოსვლით გაგვახარა, ისე წასვლით გაგვახარა...“

ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს რუსეთში მოღვაწე სუგდიდელი ბიზნესმენი ბატონი ზვიად სიჭინავა, ადამიანი, რომელიც, მაშინაც კი, როცა თავისი საქმიანობით ფეხბურთის სფეროს მიდამო იდგა, დიდ თანხებს და ძალისხმევას ახმარდა ქართული ფეხბურთის აღორძინების საქმეს.

კიდევ ერთხელ გაიღვიძა იმედმა. ვნახოთ, იქნებ ახლა მაინც გაგვიმართლოს!

მაგდა კლდიაშვილი, შორენა გოგოლაძე

გაზეთი "ილორი" უძველესი რეპრეზენტაცია "მსოფლიოს ლეგენდარული მატჩები" გაზეთი "ილორი" უძველესი რეპრეზენტაცია "მსოფლიოს ლეგენდარული მატჩები"

ათი ლეგენდარული მატჩი დამსახურებული ჯილდო ბასბისათვის

1968 წლის 29 მაისი "უემბლი", ლონდონი. ჩემპიონთა თასის ფინალი. "მანჩესტერ-იუნაიტედი"- "ბენფიკა" 4:1 გოლები: ჩარლტონი 53, 104, ბესტი 91, კიდი 95, გრასა 85. მსაჯი: ლობელი (იტალია). "მანჩესტერ იუნაიტედი": სტეპნი, ბრენანი, დანი, კირანდი, ფულკსი, სტაილზი, ბესტი, კიდი, ჩარლტონი, სედლერი, ასტონი. "ბენფიკა": ენრიკე, ადოლფუ, კრუზი, გრასა, უნბერტო, ჟასინტო, ჟოზე აუგუსტო, ეუსებო, ტორესი, კოლუნა, სიმოეში. დარტემა... ბურთი მოგერიებულია... ეს იყო ინგლისური ფეხბურთის ბედნიერი წამი. "ბენფიკა"-ში მოთამაშე სუპერ-ვარსკვლავმა ეუსებომ ხელიდან გაუშვა გოლის გატანის ბრწყინვალე შანსი, რასაც შეიძლება გამარჯვებაც კი მოეტანა პორტუგალიელებისათვის, მას შემდეგ, რაც გრასამ 85-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ ინგლისელთა მეკარემ სტეპნიმ სწრაფი რეაქციის წყალობით 16 მეტრის მანძილიდან ეუსებოს მიერ შესრულებული უძლიერესი დარტემა სასწაულებრივად მოიგერია. ამგვარი დარტემები, საერთოდ, აუღებლად ითვლება, მაგრამ სასწაული მოხდა და იგი საბედისწეროდ იქცა პორტუგალიელობისთვის - დაინიშნა დამატებითი დრო. ამ მატჩში პირველი გოლი ჩარლტონმა გაიტანა თავური დარტემით, რასაც იგი მეტად იშვიათად ასრულებდა. მესამე ტაიმის დასაწყისშივე შესანიშნავი დრიბლინგი შეასრულა ბესტმა და "მანჩესტერი" დააწინაურა. მალე კიდევ გაიტანა მესამე გოლი, მატჩი კი მეოთხე გოლით

კვლავ ჩარლტონმა დააგვირგვინა. "მანჩესტერმა" მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი. ეს მოხდა სტადიონზე, სადაც ორი წლით ადრე ბობი ჩარლტონი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მანჩესტერელებმა ჩემპიონთა თასი მოიპოვა მწვრთნელ მატ ბასბის წყალობით, რომელმაც შესანიშნავი გუნდი ჩამოაყალიბა. მანჩესტერელთა გამარჯვებამ დიდი იმპულსი მისცა ინგლისის სხვა გუნდებსაც, რომლებიც 10 წლის განმავლობაში რეგულარულად გადიოდნენ ევროპის თასების გათამაშების ფინალებში. დამარცხება ბოლო წუთებში "აცტეკა", მეხიკო. იტალია-ფერ - 4:3 (1:1 ძირითადი დრო) გოლები - ბონინსენია 7, ბურგინი 97, რივა 103, რივერა 111, შნელინგერი 90, მიულერი 95, 110. მსაჯი იამასაკი (მექსიკა). 80.000 მაყურებელი. იტალია: ალბერტო, ბურგინი, ჩერა, ბერტინი, ფაკეტი, როზატო (პოლეთი), დომენინი, მაცოლა (რივერა), დე სისტი, ბონინსენია, რივა. გერ: მაიერი, ფოგსი, ბეკენბაუერი, შულცი, შნელინგერი, გრაბოვსკი, პატცკე (ჰელდი), ოგერატი, ზეველერი, მიულერი, ლიორი (ლიბულა). სასწაული იყო ისიც, რომ 21 წუთში 6 გოლი გავიდა. ეს იყო ყველაზე დაძაბული და დინამიური მატჩი მთელი მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიის განმავლობაში. სამი დღით ადრე გერმანიის ნაკრებმა დაამარცხა ინგლისელები ანგარიშით 3:2. ეს ყველაფერი მოხდა მატჩის დამატებით დროში. მოგვიანებით კი გერმანელთა მთავარმა მწვრთნელმა ჰელმუტ

შიონმა განაცხადა, რომ ნახევარფინალში იტალიელებთან მარცხი გამოწვეული იყო ინგლისელებთან მეოთხეფინალური დაპირისპირების გამო, რომელშიც გერმანელებმა მთელი ძალა ჩააქსოვეს. ოთხი დღის შემდეგ კი ფინალურ შეხვედრაში იტალიელებმა წააგეს ბრაზილიელებთან ანგარიშით 4:1. ამ შეხვედრაში ბრაზილიელების გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა, თუმცა, ისიც ნათელი იყო, რომ იტალიელთა დამაცხების ძირითადი მიზეზი მათი ძალების გამოფიტვა გახლდათ გერმანელებთან შეხვედრისას. ყველაზე ძლიერი ფიზიკური მონაცემების მქონე ფეხბურთელისათვისაც კი ორსაათიანი დაძაბული მატჩის შემდეგ ძალების აღსადგენად რამდენიმე დღის დასვენება მინც არის საჭირო. მით უმეტეს მექსიკაში, სადაც მზე სასტიკად აცხუნებდა. ეს სიტყვები გერმანელთა მთავარ მწვრთნელს ჰელმუტ შიონს ეკუთვნოდა. იტალიელებთან მატჩში გერმანელმა ბეკენბაუერმა მიიღო მხარის ტრავმა,

თუმცა მან მინც ითამაშა მატჩისა და დამატებითი დროის დასასრულამდე. გერმანელებს აქცენტი გადატანილი ჰქონდათ ფიზიკურ მომზადებაზე და წუთითაც არ მოდუნებულან. მატჩის მე-7 წუთზე გოლი გაიტანა ბონინსენიამ და იტალია დააწინაურა. შემდეგ იტალიელები მხოლოდ ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნავდნენ და კიდევაც მიაღწიეს საწაღელს. მაგრამ მატჩის დასასრულს, მსაჯის მიერ დამატებულ დროში შნელინგერმა ანგარიში გაათანაბრა. ამის შემდეგ თამაში გამწვავდა და მეტოქეებს ორ-ორი გოლი გაუტანეს ერთმანეთს, ანგარიში 3:3 გახდა და საქმე ისე მიდიოდა, რომ ფინალისთვის ბედი თითქოს პენალტების სერიას უნდა გადაეწყვიტა. მაგრამ იტალიელთა სწრაფვამ შედეგი გამოიღო და ლუიჯი რივამ გოლი გაიტანა, რაც გადაწყვეტი ადმოინდა ამ მატჩში. იტალიელებმა ეს შეხვედრა მოიგეს და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიდნენ.

გიორგი ჯალაღანია



ილორი

სამი ტიპი სამოთხის კართან დგას. წმინდა პეტრე ეკითხება პირველს:
- რამდენჯერ ჩაიღინეთ ცოდვა?
- თორმეტჯერ.
- მაშინ თორმეტჯერ შემოუარეთ აქაურობას!
- შენ რამდენჯერ შესცოდე?
- ახლა მეორეს ეკითხება პეტრე.
- თხუთმეტჯერ.
- მაშინ თხუთმეტჯერ შემოუარე აქაურობას!
ამასობაში პეტრემ შენიშნა, რომ მესამე ტიპი შეტრიალდა და წასვლას აპირებს.
- სად მიდიხარ? - ეკითხება პეტრე.
- დედამიწაზე, ველოსიპედს ამოვიტან...
ორი მომავალი ინჟინერი საუბრობს:
- იცი, როგორ უნდა დაიკავო ჩაქუჩი, თითქმის რომ არ ჩაირტყა?
- როგორ?
- ორივე ხელით!
მამა ტელევიზორს უყურებს. შვილი ეკითხება:
- რატომ არ შეიძლება ბავშვებისათვის ამ ფილმის ყურება?
- ჩუმად! დაჯექი, უყურე და შენ თვითონ მიხვდები...
მამაკაცმა თავისი ყველა ნაკლი რომ გაცნობიეროს... ცოლი უნდა შეერთოს.

სიგმრების ასსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ

ვაგრძელებთ ნაწევრების ბეჭდვას "ეფრემ ვერდის" წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიგმრების ასსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ

- საათის ნახვა, ანუ ყიდვა - კარგია, სარგებლობის ნიშანია;
- სავარცხელი - ცუდია და საზიანო საქმეა;
- სპილენძი - ცუდია და სიფრთხილე გამართებს;
- საპყრობილე ნახო - გაჭირვებასა ნიშნავს, სიფრთხილე გამართებს;
- სისხლის გამოშვება - ცუდია, დაუძღურებას ნიშნავს;

- სტყევა - ცუდია და მწუხარებაა მთელი ქვეყნისათვის;
- სტუმრის მიპატიჟება და მიღება - სიხარულია;
- საზამთროს ყიდვა და ჭამა - მწუხარებას მოასწავებს;
- სიხარული - მწუხარებისა და შეჭირვების ნიშანია;
- სოკოს დაკრეფა - კარგია, ჭამა კი ცუდია;
- სიცივე - ცუდია, ამხანაგებთან ჩხუბი მოგივიდეს;
- სამრეკლოს ნახვა - კარგია და სარგებლობის ნიშანია.



გაზეთი "საქართველო და მსოფლიო" ერთ-ერთი ლიდერი ქართულ მედიასივრცეში! მისი ძირითადი კრედიტო - შეიძლება, ზოგჯერ ძალზე მწარე, მაგრამ მაინც სიმართლე, მხოლოდ სიმართლე! მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიუკერძოებელი ანალიზი, საინტერესო პუბლიკაციები, ინტერვიუები, პრობლემათა პროფესიული, ობიექტური ხედვა, პატრიოტული სულისკვეთება და მაღალი ზნეობისადმი სწრაფვა, მყარი მოქალაქეობრივი პოზიცია, პატრიოტიზმი, პრინციპულობა და არა სიჯიუტე, ახალგაზრდა თაობის სულიერი ფორმირების პროცესებში ღრმა წვდომა, შემეცნებითი ინფორმაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ფანტასტიკა და რეალობა... იდიასინკრაზია ყოველგვარი სიყვითლისა და იაფფასიანი სენსაციებისადმი!
ეს გაზეთი მხოლოდ სერიოზულ მკითხველზეა გათვლილი - არასერიოზულები და კულუარული იაფი ჭორ-ინტრიგების მოყვარულები ნუ გამოგვხმაურებიან!
შეიძინეთ და იკითხეთ გაზეთი "საქართველო და მსოფლიო"!

„უკრაინის ნავთობგაზი“ დეფოლტის ზღვარზე

„უკრაინის ნავთობგაზმა“ სექტემბრის დასაწყისში საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შედგენილი 2008 წლის ანგარიში გამოაქვეყნა. მასში ნათქვამია, რომ 1,6 მილიარდ დოლარამდე ვალის რესტრუქტურისა და თაობაზე კომპანიამ უცხოურ ბანკებთან მოლაპარაკებები დაიწყო. „ნავთობგაზს“ უცხოური ინვესტორების სულ 1,8 მილიარდი დოლარი მართებს.
ანგარიშში აღნიშნულია ასევე, რომ კომპანიამ დაარღვია საკრედიტო შეთანხმების ის წესები, რომელთა დარღვევის შედეგად მან დროზე ადრე უნდა გაისტუმროს ვალეები. ერთ-ერთმა კრედიტორმა ისარგებლა კიდევაც ამით და ფულის დაბრუნება მოითხოვა.
შესაძლოა, ეს „Standard Bank London“-საც ეხებოდა. მან 2007 წლის ნოემბერში „ნავთობგაზს“ გრძელვადიანი კრედიტის სახით 200 მილიონი დოლარი მისცა. უკმაყოფილო ბანკმა პირობების დარღვევის შესახებ 31 ივლისს განაცხადა.
კონკრეტული ფინანსური მდგომარეობა, როგორც ეს შემოსვენებულ ანგარიშშია ასახული, ბანკებსა და ობლიგაციათა მფლობელებს ოპტიმიზმის შანსს არ უტოვებს: კომპანიამ გასული წელი 250 მილიონიანი ზარალითა და 4,5 მილიარდიანი საერთო ვალით დაასრულა (სახელმწიფო ბანკებისა და სააგენტოების ვალეების ჩათვლით). მთელი 2009 წლის განმავლობაში „ნავთობგაზი“ იმპორტირებული გაზისათვის „გაზპრომის“ ვალეებს სახელმწიფო ბანკის ხარჯზე ისტუმრებდა.
საერთო ჯამში „ნავთობგაზმა“ 2010 წლამდე კიდევ 570 მილიონი დოლარი უნდა გადაიხადოს.

<p>გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს უკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე</p>	<p>რედაქციის მისამართი: თბილისი, მესამე ნადიკვარის №11 სარეგ. №01018002930</p>	<p>მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია მთ. რედაქტორის მოადგილე: ლავით ქობალაია ტექნიკური რედაქტორი: მიხაილ ჩოლოჩიძე</p>	<p>anaklia@web.de e-mail: elisabetthal@yahoo.de ჩაქალაქის განთავსება 899-57-33-22 72-37-35 38-41-97</p>
---	---	--	---